# სახალხო გაზეთი

№ 526 ხუთშაბათი, 16 თებერვალი 1912 წ. № 526

[illegible] № 12-29.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.


ამით ვაცხადებთ, რომ **„სახალხო გაზეთს“** ხელის მომწერთა შემკრები აგენტები არსად არა ჰყავს გარდა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების ტფილისის წიგნის მაღაზიისა და ამიტომ ვინც პირად „სახალხო გაზეთის“ კანტორიდან არ იღებს გაზეთს—პასუხსაც არ ვაძლევთ. [illegible]

## 1912 წ. სახალხო გაზეთი 1912 წ.

ისურათებიანი დამატება!

მიიღება ხელის-მოწერა

წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) მიიღებენ სალიტერატურო კრებულს **გრდემლს.**

| თებერვლიდან წლის ბოლომდე ღირს 8 მან.

## ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ **თვის 1 რიცხვიდან,** მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

დიდ-მარხვის სეზონი

**ხუთშაბათს, 16 თებერვალს,**
ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება
**პირველად ლეონ ტოლსტოის ცნობილი პიესა:**

## ცოცხალი მკვდარი,
დრამა 6 მოქ. და 12 სურათად, თარგმ. გ. ახალციხელისა.

**ახალი დეკორაციები, ✦ ბოშათა მომღერალი გუნდი.**

მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ნნი ამირაჯიბი, დავითაშვილი, კარგარეთელი, ლეჟავა, ნებიერიძე, ქილარჯიშვილი, ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი: აბაშიძე, აბდუშელი, იმედაშვილი, იმხნელი, ივანიძე, გუნია, მესხი, მატარაძე, მგალობლიშვილი. ადგილების ფასი ჩვეულებრივია. **დასაწყ. საღ. 8 ს.**
რეჟისორი **ვას. აბაშიძე.** ადმინისტ. **ვ. გუნია.**

**ანონსი:** მზადდება კვირისათვის ი. გედევანიშვილის პატივსაცემლად მისივე პიესა **„მსხვერპლი“**, ტაიფუნი, ჰენრიხ ნავარიელი, ვიდრე ხვალ უფალო, და სხვ. (3—1101—3)

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის სახ. სახლი.

პარასკევს, 17 თებერვალს, 1912 წ.

**ბენეფისი რეჟისორის ალ. წუწუნავასი**

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის მიერ ქ-ნნი **ე. ჩერქეზიშვილის, ნ. დავითაშვილის,** ბ-ნნი **ალექსი-მესხიშვილის** და ქუთათურ მსახიობის **ვას. არაბიძის** მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება ახალი **ორგინალური პიესა,**

## მორევში
დრამა 3 მოქ. ს. ჰანტურიშვილისა. ამ პიესისთვის დახატულია ახალი დეკორაციები.

**2.** ცნობილი პიესა კ. ფოცხვერაშვილისა
**აშენდა საქართველო**
სცენები ქართ. სტ. ცხოვრებიდან 2 მოქ. ამ პიესის დადგმის უფლება ავტორისაგან აქვს მხოლოდ ალ. წუწუნავას.

მონაწ. მიიღებენ: ქ-ნნი მ. გოგოლაშვილი, ნ. დავითაშვილი, ე. ჩერქეზიშვილი, ბ-ნნი ალექსი-მესხიშვილი, ვაპ. არაბიძე, ბაქრაძე, გოცირიძე, მეტრეველი, ნინიძე, სანდალა, სვანელი, სალაყაია, ხონელი, ფრონის-პირელი, ყაზბეგი, მ. ქიაურელი, ჭანკვეტაძე, ჩიქოვანი და სხვა. ადგილების ფასი 1 მ. 20 კაპ.—15 კაპეიკამდე **დასაწყისი საღ. 8 საათზე.**
ადმინისტრატორი **ან. ჭიაბერაშვილი.** (5—1006—3) რეჟისორი **ალ. წუწუნავა.**

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

| | |
|---|---|
| შინაგან სნეულ. | **ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. |
| | **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| | **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. |
| | **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. |
| | **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. |
| | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. |
| | **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| საოპერაციო (ქირურგ.) | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| | **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| სამშობიარო, ქალ. სნეულებ. | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| | **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. |
| | **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ბავშვების ავადმყოფ. | **ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს. |
| | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. |
| | **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულ. | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. |
| | **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ყურ., ყელ., ცხვ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. |
| | **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3. |
| თვალის ავ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½. |
| კან. და ვენ. ავ. | **მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wass rman. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; **„606“ წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—269)

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**
**წამლობა ჭლექისა** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე. დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ. 100—1534—90)

## ქართული თეატრი

შაბათს, 18 თებერვალს,

საზღვარ-გარეთ გამგზავრების წინ **მხატვარი კოტე ქავთარაძე** მმართველს

## გამოსათხოვარ საღამოს

შემდეგის პროგრამით:

I) ტფილისში პირველად დადგმული რუსულად 3 მოქმედებიანი ოპერეტა მ. ჩიორისა და ვ. კ. [illegible]:

**ტურფა სულნი** [illegible]

II) [illegible] **„ღამე კერინის ზამთა“** [illegible]

[illegible] **მხატვარი კ. ქავთარაძე.** (3—1109—1)

გამოვიდა და იყიდება ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების

**წიგნის მაღაზიაში**

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების
**სალიტერატურო კრებული**

## გრდემლი

ფასი 1 მ. 50 კ. (თ.1098.7)

**იბეჭდება და თებერვლის დამლევს გამოვა**

## აკაკი-ს

## თხზულების პირველი წიგნი,

რომელშიაც მოთავსებული იქნება **ახალი** ნაწარმოები ჯერ დაუბეჭდავ და აგრეთვე **ძველიც,** ზოგიერთის შენიშვნებითა და განმარტებით. წინასწარის ხელის მოწერით წიგნი ეღირება **ათ შაურად.**

ხელის-მოწერა შეიძლება ტფილისს:—წერა-კითხვის გამ. საზ. და „ცოდნა“-ს წიგნ. მაღაზიაში; ქუთაისს:—„კოლხიდის“ რედაქციაში, მთავრიშვილის წიგნის მაღაზ. და კანტ. „იმერეთში“. ბათომს—ნ. ა. საბაშვილთან; ფოთს—ი. კოხრეიძესთან; ყვირილას—წიგნის მაღაზიებში. (თ. 1044.22)

## ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი

სთხოვს ამ მაზრის თავად-აზნაურობას, მობრძანდნენ 26 თებერვალს, დილის 11 საათზე ტფილისის თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში.

ვისაც ამრჩევლის და თავად-აზნაურთა საქმეში მონაწილეობას ცენზი აქვს, კეთილ ინებებენ და საამოსო დამადასტურებელ საბუთებს წარმოადგენენ. (3—1108—1).

**მიიღება 1912 წ. ხელის მოწერა სახალხო საზოგადო-საეკონომიო ჟურნალ**

წელიწადი **კოოპერაციაზე** მეორე

**პროგრამა:** 1) მოწინავე წერილები საკოოპერაციო და საეკონომიო საკითხებზე, 2) წერილები სამუნიციპალო საქმეებზე, 3) კორესპონდენციები და კოოპერატიულ ცხოვრების მიმოხილვა, **სურათებით;** 4) გამოჩენილ კოოპერატორებისა და საზოგადო მოღვაწეების ბიოგრაფია, სურათებით; 5) მიმდინარე ცხოვრება; 6) წერილები ჯანმრთელობაზე; ნარევი და სხვა. განსაკუთრებული ყურადღება იქნება მიქცეული კოოპერაციის პრაქტიკულ კითხვებზე. **ჟურნალში** ღებულობენ მონაწილეობას საუკეთესო მწერლები და საზოგადო მოღვაწენი. ჟურნალი ღირს ქუთაისში და ქუთაისს გარედ, გაგზავნით: წლიურად 3 მ., ნახევარ წლით 1 მ. 75 კ., თვიურად 40 კ. ჟურნალი ცალკე ნომრებად არ გაიყიდება.

წლიური ხელის მომწერლები მიიღებენ 1912 წლის განმავლობაში ჟურნალის 24 №№ და რამდენიმე მთლიან **ბროშურას** დასავლეთ ევროპისა და რუსეთის კოოპერატიულ ცხოვრებაზე და პრაქტიკულ საკითხებზე. გარდა ამისა ყველა ხელის მომწერი, რომელიც მოაწერს ხელს ჟურნალზე თებერვლის 15-მდე და შემოიტანს სრულად წლიურ გადასახადს ათი შაურის დამატებით /დაუმატებლად ღებულობენ ისინი, ვინც მოაწერეს ხელიც 1911 წლის 31 იანვრამდე) მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მიიღებენ საჩუქრად მოსკოვის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის დამაარსებელის, **ნ. პ. გიბნერის** საუცხოვო წიგნს ქართულად: „კოოპერაციის სისტემები“, რომელიც ცალკე ეღირება 1 მან. 20 კაპ.

1911 წლის ნომრებში მოთავსებულია, სხვათა შორის, შემდეგი წერილები: „დარიგება მომხმარებელ საზოგადოების დამაარსებელთათვის“, „გამგეობის პირველი ნაბიჯები“, „სასოფლო-სამეურნეო სინდიკატები საფრანგეთში“, „სახელოსნო კოოპერატივები“, გამოჩენილ კოოპერატორების ბიოგრაფიები, ლევ. ტოლსტოის, პროფ. კაბლუკოვისა და სხვა გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა და პროფესორ-ეკონომისტების აზრი კოოპერაციაზე; წერილები ნოე ჟორდანიასი, თ. ღლონტის, დ. ლამბაშიძისა (ლონდონიდან), ვ. თ. ტოტომიანცისა და სხვა. **1911 წლის კომპლექტი ღირს 1 მ. 50 კაპ.**

ადრესი წერილისა და ფულის გამოსაგზავნად: Кутаисъ, редакція журнала „Коопeрація“. (3—1107—1)

**სახალხო სამუსიკო დასაკრავთა**
**ვაჭრობა**

## ი. ე. გუტკოსი და პ. ე. კოსარევისა

ტფილისი, ვერის დაღმართი, № 1.

გასაყიდად გვაქვს აუარებელი სკრიპკები, **შიგარჩევით,** ვიოლონჩელები, კონტრაბასები, გიტარები, მანდალინები, ბალალაიკები, ვენის გარმონები—პინჩენსკის სისტემისა და სარატოვის გარმონები. რადგანაც საქონელს პირდაპირ ქარხნიდან ვიღებთ და ბინის ქირადაც ბევრს არა ვხარჯავთ ჩვენი საქონლის ფასები მეტის-მეტად იაფია. იაფობა ყოველ მეტოქეობის გარეშე.

**ყოველგვარი სიმები.**

**შეიძლება ფასის ნაწილობით გადახდა და საკრავების ქირით წაღება.** აგრეთვე გვაქვს ყველა სამუსიკო საკრავთა სახელმძღვანელონი, ეტიუდები, კონცერტები და უდიდესი არჩევა **სანოტე ქაღალდისა.**

ვკისრულობთ ყველა სამუსიკო დასაკრავთა შეკეთებას. აქვე იკითხეთ გამოცდის მუსიკის მასწავლებელთა მისამართი. (10.1014.8)

**დოქტორი მედიცინისა**

## ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩინაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 105)

**ექიმი ე. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—44).

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი**
მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

## სამგლოვიარო

[illegible]

(წ. 1147 255)

**გამოცდილმა**

## მასწავლებელმა

**ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა** მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საზებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

**აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო** და **მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

**იღებს პირობებით.** მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову). (თ. 1084.88)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდ ქუჩაზე, №23. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**ასპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

**ბოჟოვსკი.** ორშ., ოთხშ., პარასკ.. კვირ. 4—5 საათ.

**არგუთინსკი,** შინაგ., ბავშვ. ყოველ დღე 9½ სათ. 1 ს.

**მონსე.** ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ორშაბ., ოთხშაბ., პარასკ. 1½—3 საათ.

**ნოვიცკი.** ქალთა ავადმყ., ყოველ დღე 1—2 საათ.

**კალამკაროვი.** ქალის ავად. ყოველ-დღე გარდა ხუთშაბათისა, 12—1 სათ.

**გრეიცი.** თვალისა, 1—2 საათამდე.

**უკლადნიკოვი.** შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

**რიდელი.** შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყოველ-დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—1 საათ.

**ბალდინა-ნოვიცკაია.** ყელისა, ყურისა, ცხვირ. ყოველ დღ. 11—12 ს.

**რუდენკო.** შინაგ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

**ვესელოვზოროვი** ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

**ტერ-ნერსესოვი.** ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.

**იოსელიანისა** ქალთა ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა —12 საათ.

**ბაგდოევისა,** კბილ. ყოველ დღე 3—5 ს.

**ლიმონი.** კბილ. 10—1 ს.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს**

**საღამოს 5—7 საათამდე.**

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაციი, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის შრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (თ. 1032—52).

**ექიმი პ. არდაზიანი**
შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.899.45).

## [illegible] კერძო სამკურნალო

[illegible] **„606“.** (წ. 1090 272)

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

## მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ. 1249 75).

**ექიმი** კბილისა **იოსებ ზაქარიას ძე კანდელაკი**
მიიღებს დილით **9**-დან **2**-მდის და საღ. **4**-დან 5-მდის. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხვას ხელოვნურ კბილებს. ტფილისი, მიხაილოვის პროსპ. **№ 7.** (50—1552-38)

**ექიმი ე. ი. მინასიანცი**
შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100—1117—98).

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი**
სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყოფობას. **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

ავადმყოფთა მიღება ნაშუადღევის 3—5½ საათამდე, **ელისაბედის ქუჩა,** № 94, სადოსტო განყოფილების პირდაპირ. (თ.—183—26)

**ექიმი** დ. სურამში **აპოლონ ლუკას ძე ტყემალაძე**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღეს. (თ.—125—3)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

**ექიმი** კბილისა **ნინო რუხილაძე**
მიიღებს ავადმყოფებს დილის 10 2 ს.-მდე და საღამოს 5 7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

**ექიმი შ. ა. მიქელაძე**
იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., №

## ტფილისი, 16 თებერვალი

**ჩინეთი, მონღოლეთი და რუსეთი.**

რუსეთის კონსერვატიულ წრეებში ისეთი აზრია გავრცელებული, თითქოს რევოლიუცია და სახელმწიფოებრივი ცხოვრების სრული დანგრევა ერთი და იგივე იყოს. ასეთის თვალით უცქეროდნენ რეაქციონერები რუსეთის განმანათავისუფლებელ მოძრაობას, ასეთსავე საზომით ზომავდნენ იმ მოძრაობას, რომელიც სხვა ქვეყნებში ხდებოდა. რევოლიუცია სახელმწიფოს დასუსტებად მიაჩნდათ, ძველი წესწყობილების დამცველთა გამარჯვება—სახელმწიფოს ძლიერებად. ამნაირად უცქეროდნენ რუსეთის რეაქციონერები ოსმალეთის რევოლიუციას, ასევე უცქერიან იმ არა ჩვეულებრივ მოძრაობას, რომელიც შორეულ ჩინეთში დაიბადა და რომელიც რესპუბლიკის დაარსებით დაგვირგვინდა.

ავიწყდებათ ხოლმე, რომ ამისთანა შემთხვევებში თავისუფლდება დაგუბებული სახალხო ენერგია, რომელიც ხელს უწყობს არა სახელმწი-

ფოთა დასუსტებას, არამედ გაძლიერებას. ასეთს მოვლენებსა ვხედამთ ოსმალეთში. განახლებულ ოსმალეთისა შეეშინდა ევროპას, რომელიც ისე უცქეროდა ოსმალეთს, როგორც სასიკვდილოდ გამზადებულ ავადმყოფს. დაეშურა ავსტრო-უნგრეთი, ეშურაბა იტალია. ყველა ცდილობს რამე წაგლიჯოს ოსმალეთს, სანამ იგი წელში გამაგრებას მოასწრებდეს. თითქმის ასეთსავე მდგომარეობაში იქნებოდა სპარსეთი, ინგლის-რუსეთის შეთანხმებას რომ შეუძლებლად არ გაეხადა აგრესიულ პოლიტიკის გაძლიერება სპარსეთში.

აგრესიულ პოლიტიკის წარმოებას ურჩევენ რუსის ნაციონალისტები მთავრობას. მათის აზრით მონღოლეთი, რომელმაც წინააღმდეგობა გაუწია ჩინეთის მთავრობას და განცალკევება მოისურვა, ისეთი ქვეყანაა, რომელიც რუსეთმა სრულიად თუ არა, ცოტათი მაინც უნდა დაიპყროს. რა განზრახვა ჰქონდა რუსეთის მთავრობას, ამის თქმა ძნელია, მაგრამ იგი რომ დახმარებას ჰპირდებოდა მონღოლეთის აჯანყებულ თავადიშვილებს, ეს გაზეთებიდან ეცოდინება ჩვენს მკითხველებს. უკანასკნელ ხანებში მოსულ ცნობებიდანა სჩანს, რომ რუსეთის მთავრობამ უარი უთხრა დახმარებაზე მონღოლეთის თავადიშვილებს.

მეორის მხრით, თვით ჩინეთშიაც, რომელშიაც შედარებითი მშვიდობიანობა დამყარდა, შეთანხმებულად დაიწყეს მოქმედება რესპუბლიკელთა მთავრობამა და პრეზიდენტად არჩეულმა იუანშიკაიმ. მათა ჰსურთ, შეერთებულის ძალით იმოქმედონ მონღოლეთზე და კვლავ ჩინეთს დაუმორჩილონ განდგომილი პროვინცია.

ეს მოვლენა ერხელ კიდევ ამტკიცებს იმ აზრს, რომ ჩინეთში, მიუხედავად ფედერალისტურ და დეცენტრალისტურ ტენდენციებისა, მაინც მტკიცე ყოფილა ის აზრი, რომ ჩინეთი განუყოფელი, მაგრამ თავისუფლად შეთანხმებულ ნიადაგზე დამკვიდრებული სახელმწიფო უნდა იყოს. რას მოგვიტანს მომავალი, არ ვიცით, რომ რუსის ნაციონალისტების განზრახვა, თუ მის განხორციელებას შეუდგნენ, რომ ჩინეთის დაწყნარებულ საზოგადოებაში დიდს უკმაყოფილებას გამოიწვევს, ეს ცხადია. მხოლოდ გარემოების საქმე იქნება, როდის მიიღებს გარკვეულ, რეალურ სახეს ეს უკმაყოფილება.

ამიტომაც არის, მენშიკოვისა და იმის მსგავს პუბლისტების მოწოდება აგრესიულ პოლიტიკით დაპრმავებულ ფანატიკოსებზე რომ ახდენს შთაბეჭდილებას.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ქუთათურ გაზეთ „კოლხიდა“-ში დაბეჭდილია ბ-ნ ი. ფანცხავას წერილი, რომელიც სავსებით მოგვყავს:

გაზ. „კოლხიდის“ მე 28 №-ში მოთავსებულია თედო ჟორდანიას წერილი, რომელიც სწორედ მისი შესაფერია, რადგან სიცრუით აღსავსეა. ამ წერილში თედო ჟორდანია შემდეგს მოგვითხრობს სამრევლო სკოლების ახალი პროგრამის შესახებ: „ყველაზე ჭკვიანად გურია სამეგრელოს საბჭო მოიქცა, სადაც მაშინ მე გახლდით წევრად, როგორც სკოლების მეთვალყურე: იქ ყური განგებ მოიყრუეს და წინანდელ გეგმას მივსდევდით იმ განზრახვით, რომ, თუ მთავრობა შენიშვნას მოგვცემდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში მიგვეცა პასუხი და ახალი გეგმა, როგორც შეუსაბამო, უარ გვეყო“.

ამ ამონაწერიდან ცხადად ხედავს მკითხველი, რომ გურია-სამეგრელოს საბჭოს მოქმედება თედო ჟორდანიას თვისი თავისათვის მიუწერია სრულებით. მაგრამ ეს სრული სიყალბე და კადნიერი სიცრუეა, რადგან ნამდვილად სრულებით სხვა გვარ მოვლენას ჰქონდა ადგილი იქ და იმ მოვლენის შესახებ მთელი წიგნაკიც კი გამოვეცი 1905 წ. იმ წიგნაკში ნათლად, მკაფიოდ და ყველასათვის თვალსაჩინოდ არის მოთხრობილი თედო ჟორდანიას „საქმენი საგმირონი“. იქ გარკვეულია, რომ თედო ჟორდანია იყო სწორედ ის პირი, რომელმაც ყოველი ზომა მიიღო, რათა საბჭოს „ყური არ მოეყრუებია“ ამ ფრიად სახიფათო საკითხის შესახებ და საბჭოს ძალას ატანდა, 1903 წ სამოსწავლო წლის დაწყებისათანავე მოეყვანა სისრულეში „ვოსტორგოვისეული“ პროგრამა. განცხადება განცხადებაზე შეჰქონდა თედო ჟორდანიას, რათა საბჭოს დაუყოვნებლივ, ფიცხლავ მოეყვანა სისრულეში ეს პროგრამა, და საბჭოს სულის მოთქმასაც არ აცლიდა. შემდეგ კი თვით ვოსტორგოვიც საბჭოს მოულოდნელად სხდომაზე მოევლინა. რაც მოხდა მაშინ იმ სხდომაზე, ეს საბჭოს დამსწრე წევრებმა უწყიან და მოკლედ ჩემ წიგნაკშიაც არის მოთხრობილი. ახლა როგორღა ბედავს თედო ჟორდანია, საზოგადოებას კვლავ თვისი პირი აჩვენოს, და არ წითლდება, ის ამბობს, რომ ჩემი მეოხებით მოხდა, თუ გურია-სამეგრელოს საბჭო ასე ჭკვიანად მოიქცაო. ნუ თუ თედო ჟორდანიას კვლავ ჰგონია, რომ საქართველო კვლავ იმ უძალო სოფელს წარმოადგენს, სადაც უჯოხოდ სიარული ასე ადვილია? ნუ თუ კიდევ იმდენი სითამამე შესწევს, რომ საჭიროდ აღარ მიაჩნია, თვისი თავი და პირადობა საზოგადოებას მოარიდოს, როცა ამ კითხვაზეა ლაპარაკი?.. ჰე, ეტყობა, საქმეთა ახალი ვითარების სუნი სცემია და უეჭველია იმიტომ ფიქრობს, ფონს ადვილად გავაო...

ჩემთვის სრულიად გაურკვეველი და გაუმჭრილი ფასი აქვს თედო ჟორდანიას შემდეგს მკვეხარა ფრაზებსაც: „ხოლო მე რამდენჯერმე შენიშვნა მივიღე იმაზე, რომ 1902 წ. გეგმა სკოლებში არ სრულდებოდა. უკანასკნელად სასტიკი შენიშვნა მივიღე ჩემი უფროსებისაგან 1910 წ.“ სა-„ყვედური კი არა,—სადაც სამართალია,— **ქებით უნდა მოიხსენებოდეს ასეთი თავგამოდება** ახალის საბჭოსი და **ეპარქიის მეთვალყურისა**“. ნეტა ვიცოდეთ, რისთვის და რატომ მიიღო, თუ კი მიიღო ეს შენიშვნები თედო ჟორდანიამ? იგი და შენიშვნები?! უეჭველია, ეს ამბავი ქუთაისის საეპარქიო საბჭოს წევრებს ეცოდინება და ისინი არ დაიზარებენ, აუწყონ საზოგადოებას ეს საარაკო „თავგამოდება“ თედო ჟორდანიასი. ვიქონიოთ მოთმინება და მოვუცადოთ...

# ახალი ამბავი

## ტფილისი

◆ **ქალაქის საბჭოს კომისიების თავჯდომარეებად** არჩეულ იქმნენ: საფინანსო კომისიისა—ა. რ. ფიშერი, საუნივერსიტეტო თავ. გ. მ. თუმანოვი და საბალნეოლოგიო—მ. ვ. ლუნკევიჩი.

◆ **ექიმთა და ბუნების მეტყველთა მე-XIII კრების პროექტი** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა სახალხო განათლებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს წარუდგინა განსახილველად.

◆ **ხმოსანმა ი. გ. სულაბერიძემ** ქალაქის გამგეობაში გუშინ წერილობითი განცხადება შეიტანა. განცხადებაში წინადადებას აძლევს გამგეობას, შეიტანოს სავალდებულო დადგენილებაში ისეთი მუხლი, რომელიც საკანდიტეროებასა, თორნეებისა, ტრაქტირებისა და სხვა ამგვარ დაწესებულებათა მეპატრონეებს დაავალებს, დროგამოშვებით ექიმები მოიწვიონ თავიანთი მოსამსახურეთა გასასინჯავად. ასეთი მოვალეობა აბანოების მეპატრონეებს უკვე დაკისრებული აქვთ.

◆ **პოეტი ი. გრიშაშვილი** გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ „ბირჟის დხრბაზ“-ი“ 14 თებერვალს სალამო-მეჯლისი გაიმართა მხოლოდ მის **ოფიციალურ** პასუხის-მგებლობით. თვით ი. გრიშაშვილს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია არც ბილეთების გაყიდვაში და არც პროგრამის შედგენაში.

◆ **ა. ცაგარლის კომედია „რაც გინახავს, ველარ ნახავ“** ოსურს ენაზე გადათარგმნეს და მოკლე ხანში სახალხო სახლში წარმოადგენენ.

◆ **მეპურენი** იმდენად უკმაყოფილონი არიან პურის ნიხრით, რომ ქალაქის გამგეობას ნამესტნიკთან უჩივლეს. ეს საჩივარი ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიამ განიხილა და საქმის ყოველ მხრივ გამორკვევის შემდეგ დარწმუნდა, რომ საჩივარი ყოვლად უსაფუძვლოა.

◆ სამეურნეო-სავაჭრო პოლიციის აგენტმა ტერ-დავიდოვმა **12 მეპურეს შეუდგინა ოქმი** და გუშინ ქალაქის გამგეობას წარუდგინა.

◆ **საქალაქო მიწის იჯარით გაცემის საქმე.** როგორც თავის დროზე ვწერდით, სომხურმა სამეურნეო საზოგადოებამ ქალაქის გამგეობას იჯარით სთხოვა საქალაქო მიწა სასწავლო-საპრაქტიკო მეურნეობის გასამართავად. საზოგადოებამ სთხოვა მიწა ავლაბარში, რკინის გზის ლიანდაგის გაღაღმა, ზომით 92 დესეტინა და 1,200 ოთხ-კუთხი საჟენი. ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობის დაკმაყოფილება შესაძლებლად იცნო და ხელშეკრულობის პროექტი შეადგინა. პროექტით მიწა, დესეტინა 1 მანეთად წელიწადში, უნდ მიეცეს საზოგადოებას 12 წლის ვადით. საზოგადოებას უფლება აქვს, ვადის შესრულების შემდეგ ხელშეკრულება ძველ პირობებში კიდევ 12 წლით განაახლოს. პროექტი ამ ჟამად ქალაქის საბჭოს საადგილ-მამულო კომისიის ხელშია და მოკლე ხანში ქალაქის საბჭოც განიხილავს. როგორც გადმოგვცეს, ზოგიერთს ხმოსანს განუზრახავს, ხელი შეუშალოს საბჭოში ამ პროექტის დამტკიცებას, რადგანაც ქალაქისთვის მეტად საზარალოა.

◆ [illegible] თებერვალს ქუთაისის მაზრის მცხოვრები გერმან ეგნატეს ძე ჭუჭურიშვილი მეჩეთის ნომრებში ჩამომხტარა. ღამით მისთვის მოუპარავთ ტანისამოსი. ფეხსაცმელი და 31 მან. 20 კაპ. ფულად. ეჭვით ნომრების ლაქია ქარიმ ისმაილ ოღლი შეიპყრეს.

◆ [illegible]4 თებერვალს 25 უპასპორტო შეიპყრეს.

## საზოგადოებანი და კრებები

◆ **ჭლექთან მებრძოლ კავკასიის საზოგადოების** საზოგადო კრება 18 თებერვალს მოხდება ქალაქის გამგეობის სადგომში.

## ქუთაისი.

**ს. ჟუკსეში** (სამეგრელოშია) კვირას, 12 თებერვალს ჩამონგრეულა სოფელზე გადმოწოლილი მთა და რვა გლეხის სახლი სულ ერთიანად დაულეწია, საბედნიეროდ, მცხოვრებლებს მოუსწრიათ გაქცევა. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

◆ ამას წინად ქალაქს გაუკეთებია საფოსტო მისახვევში ქუჩა. გაწეული ხარჯი ქუჩის გასაკეთებლად ამ ქუჩის მცხოვრებლებზე გაუწერია. ზოგს ხვედრი ფული გადაუხდია, მხოლოდ შემდეგ საჩივარი აღუძრავთ გამგეობაში ქუჩის გასაკეთებლად წაღებული ფულების უკან დაბრუნებაზე. თავის მოთხოვნას მომჩივრები იმით ასაბუთებენ, რომ ქალაქმა ეს ქუჩა პირველად გააკეთა; ქუჩის პირველ გაკეთებისთვის-კი სენატის 1911 წლის, ოკტომბრის (№ 10647) განკარგულებით მცხოვრებლები არ არიან ვალდებული, რომ ქუჩა გააკეთონ.

◆ ქუთაისის სახაზინო პალატის დადგენილებით **ქუთაისის მოქალაქეებად** ჩარიცხეს: დ. იოსელიანი, და დიმნიშვილი შვილებიანათ.

◆ ამ დღეებში **დ. ყვირილაში** დაკრძალეს ცხედარი ქუთაისის რეალური სასწავლებლის მეხუთე კლასის მოსწავლის ვანო შანიძისა. დაკრძალვის დღეს მიცვალებულს ნაცნობებმა და ნათესავებმა 7 გვირგვინი მიუძღვნეს, დაახლოვებით ღირებული 70 მანეთად. ყველა ეს გვირგვინები გარდაცვალებულ ახალგაზდის მშობლებმა შესწირეს ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების ყვირილის განყოფილებას.

◆ **მიკიტანი მამასახლისები.** ქუთაისის მაზრის რამოდენიმე საზოგადოებაში მამასახლისებათ მიკიტნები ყოფილან. ესენი ძალიან ხშირად საქმეებს ღვინით სავსე ბოთლების წინაშე არჩევენ. ამ გარემოებისთვის ყურადღება მიუქცევია ქუთაისის მაზრის უფროსს.

◆ **ხონში** ქ-ნ ეფროსინე ჰჰქინაძის თაოსნობით დაუარსებიათ **ქალთა წრე.** წარმომადგენელნი ხონის ქალთა წრისა იკრიბებიან ოთხშაბათობით კლუბში და ხელსაქმიანობენ. გადაწყვეტილია ხელსაქმიდან შემოსული ფული მოჰხმარდეს ხონის უფასო სკოლას.

◆ შარშან **ს. შუანთაში** დაიწვა ქუთაისის გუბერნიის პირველ **მეაბრეშუმეთა ამხანაგობის ბამბის საწყობი.** ამხანაგობას დაზღვეული ჰქონია ბამბა. ამ დღეებში ბაღდადის საბოქაულოს გამომძიებლის განკარგულებით დაატყვევეს ამხანაგობის გამგე-დირექტორი, მაგრამ მალე თავდებობით გაუშვეს. ბრალსა სდებენ დამზღვეულ საქონლის დაწვაში.

◆ ზუგდიდის მაზრაში **დაუჭერიათ მკვლელი თავად ნიკო დადიანის** (მინგრელსკის) მოურავისა. მკვლელი, როგორც გვაცნობებენ, აღმოჩენილა ისევ დადიანის მსახური, ალშიბაია.

◆ **ს. მაღლაკში** (ქუთ. მაზ.) სოფლელებს განუძრახავთ **შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის დაარსება.** ამაზე მოსალაპარაკებლად მაღლაკელებს ყრილობა გაუმართავთ მამასახლისის თანდასწრებით სასოფლო კანცელარიაში.

◆ გურიაში, ს. ბაღდადში. ამ სამი დღის წინად დარაჯებს **მოუკლავთ ორი ყაჩაღი**: შელია და ნიკოლეიშვილი. სროლის დროს მსუბუქად დაჭრილია ერთი დარაჯი.

◆ 5 თებერვალს მე 100 ვერსზე შეღვინიანებულმა რკინის გზის დარაჯმა, ვასილ მეკკინმა ვილაცა უცნობის დახმარებით გალახა რკინის გზის დარაჯი ცხადაძე და დასჭრა მისი ცოლი.

◆ ამიერ კავ. რკინ. გზის დროებით გენერალ გუბერნატორის განკარგულებით მატარებელში უბილეთობის გამო დაკავებულნი, ყვირილის სამაზრო ციხეში მჯდომნი: იოსებ სახუაძე, ერმალოზ ი. სხილაძე, გალაკტიონ კაკაბაძე და ნიკ. შელია უკვე გაანთავისუფლეს.

◆ რკინის გზის ჟანდარმთა უფროსის განკარგულებით შეჩერებულ და დაკავებულ იქნა შემდეგი ნომრები პერიოდულ გამოცემებისა: № 23 გაზ. „გოლოს ზემლი“-სა, № 1 ჟურნალ „სოვრემენნიკი“-სა, № 59 გაზ. „ვეჩერნეე ვრემია“-სი, და გაზ. „ზვეზდა“.

◆ დ. ბაღდადის ახლოს მდ. ხონის წყალზე, სამაზრო მთავრობას განუზრახავს გააკეთოს **დიდი ხიდი**. ამის შესახებ ადგილობრივ მაზრის უფროსს გუბერნატორისთვის უთხოვია მიეცეს მასალა ხსენებული ხიდისათვის სახაზინო ტყიდან მუქთად. რაზედაც გუბერნატორს ნება დაურთავს.

◆ სად. დარკვეთში იანვრის შუა რიცხვებიდან გაიხსნა **საფოსტო განყოფილება,** სადაც იწარმოებს საფოსტო ოპერაციები და მიიღება გასაგზავნი ფული.

◆ როგორც გვატყობინებენ ქ. დ. როსტოვში ძლიერ **დაუწევია ფქვილის ფასს.** ჩვენში კი ფასებს უმატებენ. („ცხოვრება“)

◆ კარგი ხანია **წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელზე** არა სასიამოვნო ხმები დადის საზოგადოებაში. სასწავლებლის უფროს ქალზე უკმაყოფილებას აცხადებენ და ბოლოს ეს უკმაყოფილებაც იმ ზომამდე გაიზარდა, რომ ერთ დღეს გუბერნატორის მიწვევაც საჭირო შეიქნა სასწავლებელში. შაბათს მთელი სასწავლებლის მოწაფე ქალები საერთო დილის ლოცვისთვის შეგროვდენ დიდს დარბაზში, ლოცვის დაწყებამდე მათთან შევიდა სასწავლებლის უფროსი ქალი, რომელსაც სტვენითა და ყვირილით დახვდენ, მოგვშორდი, არ გვინდიხარ!—უფროსი ქალიცა და სხვა მასწავლებელნიც ბევრს ეცადენ, მაგრამ მოსწავლენი ვერ დაამშვიდეს. მაშინ აცნობეს [illegible] მალე გამოცხადდა სასწავლებელში, დაამშვიდა [illegible] ჰკითხა გარემოება.—არც თქვენი და არც სხვა ვისმესი საწინააღმდეგო არა გვაქვს რაო—უთქვამთ მოწაფეებს — მოგვაშორეთ ეგ უფროსი, აღარ შეგვიძლიან ამდენი ლანძღვისა და შეურაცხყოფის ატანა და სხვა.

ეს ინციდენტი შემდეგ გარემოებას გამოუწვევია. წინა დღით სასწავლებლის უფროსს მიუხმია ერთი რუსი მოსწავლე და უთქვამს,— თვალყური ადევნე შენს ამხანაგებს და ყველაფერი ამბავი გადმომეცი ხოლმეო. მოსწავლეს უარი უთქვამს ამ „ხელობაზე“ და უფროსსაც ვითომ ამ სიტყვებით მიუმართავს მისთვისო:—შენც გაიძლენთე იმერლების ველური ინსტიქტითაო... ამ სიტყვებით აღელვებულ რუს მოწაფეს ეს ამბავი გადაუცია ამხანაგებისათვის, რასაც ყველა ეროვნების მოწაფე აუღელვებია და უფროსის წინააღმდეგ საერთო პროტესტი გადაუწყვეტიათ. („კოლ. ხ.“)

◆ გუშინ 13 თებერვალს ქუთ. წმ. ნინოს სასწავლებელში სწავლა არ ყოფილა მომხდარი ინციდენტის გამო. გამოძიებაა სასწავლებელში დანიშნული.

◆ **საზოგადო საკრებულოს არჩევნები** რომელიც 11 თებერვალს იყო დანიშნული, 19 თებერვლისათვის გადაიდო.

◆ თავ. სიმონ მიქელაძის ქვრივმა კნ. სოფიო ნიკოლოზის ასულმა ად. გილობრივ ქართულ გიმნაზიას გადასცა ჩვეულებრივი **ყოველწლიური შეწირულება** ათი თუმანი ღარიბ მოწაფეთათვის სწავლის ფულის შესატანად („კოლხ“)

## ბათომი.

◆ როგორც გავიგეთ გაზაფხულიდან შეუდგებიან **ყარსი-სარაყამიშის რკინის გზის გაყვანას.** რკინის გზის გაყვანის საქმე იჯარით აუღიათ ძმ. ფეფელოვებს. რკინის გზის გაყვანა, როგორც წარდგენილ ანგარიშიდან სჩანს, დაჯდება ორი მილიონი მანეთი.

◆ **სასამართლო.** 11 თებერვალს ქუთაისის საოლქო სასამართლოს სესიამ გაარჩია ესტატე ქორქიასი დ აპალონ იმნაძის საქმე, რომლებიც სამართალში იყვნენ მიცემული სისხლის სამართლის დებულების 1160 მუხლის ძალით. საქმის მდგომარეობა ასეთია: თ. მ. მ. ნაკაშიძეს დაჰკარგვია თავისი ხელ მოწერილი ოთხას მანეთიანი ვექსილი. დაკარგული ვექსილი აღმოაჩნდა ა. იმნაძეს, რომელსაც ე. ქორქიასაგან მიუღია ვალის დასაკმაყოფილებლად სასამართლომ დამნაშავეთ იცნო ესტატე ქორქია და მიუსაჯა ოთხი წლით გამასწორებელ რაზმში გაგზავნა, იმნაძე კი გაამართლა.

◆ **ნიხრი.** ბათუმის სამხედრო გუბერნატორმა დაამტკიცა ქალაქის გამგეობის მიერ წარდგენილი ახალი ნიხრი პურზე და ხორცზე: პირველ ხარისხის პური გირვანქა 5 კ. მეორე

# რა მელექსება!...

მეც მიძღვენ ლექსი—მითხრა მუზამ—მეც დამიწერე...
გამიზიარე შენი სევდა გამოუცნობი,
გამიზიარე შენი სულის ნაფიქრ-ნაგრძნობი,
რომ აღვავლინო ცად სიწმინდე-სიმშვენიერე!..

მეც მიძღვენ ლექსი—მითხრა მუზამ—მეც დამიწერე!..

***

ეჰ, ჩემო კარგო, აბა მითხარ რა მელექსება?..
ეს ხომ ვიცი, რო არ ამცდება მე მტრობა-შური,
ეს ხომ ვიცი რო მყუდრო ბინა, მყუდრო სადგური
ჩემს დაქანცულ სულს არასოდეს არ ეღირსება?..

ეჰ, ჩემო კარგო, აბა მითხარ, რა მელექსება?..

***

ხშირად მსმენია: „ოჰ, მგოსანო დიდება შენდა!..“
ფეხქვეშ მიყრიდნენ ზღვის სამეფოს, მზის დიადემას,
მაგრამ ჩემს ღაღადს, ჩემს მოძახილს, ჩემს გულის ცემას
არც ერთი არსი არ ისმენდა... რად არ ისმენდა?..

ხშირად მსმენია: „ოჰ, მგოსანო, დიდება შენდა!..“

***

დღეს სასაცილოდ არა მყოფნის ერთი ამბავი:
მახსოვს მჭრელ ხანჯალს, ერთხელ, გრძნებით ხელი დავავლე.
ჩავაგე მკერდში ერთ ქალს, სისხლში ღრმად ამოვავლე
და მსურდა მერე იმავ ხანჯლით მომეკლა თავი!

დღეს სასაცილოდ არა მყოფნის მე ეს ამბავი!..

***

დიახ, მე ვსდუმ! და ამ დუმილით ვსთქვი ყოველივე.
ოჰ, მირჩევნია, მშვენიერო, დავდუმდე ვით ქვა,—
ვიდრე უაზროდ ის დავწერო რაც უკვე ითქვა...
მომბეზრდა ბოდვა სულ ერთ-გვარი, ერთ და იგივე!..

დიახ მე ვსდუმ! და ამ დუმილით ვსთქვი ყოველივე!..

ი. გრიშაშვილი.

# ფრაგმენტები

## ხელები

დღეს სალამოს, როცა სახლში დავბრუნდი, ვიგრძენი თუ რა რიგ უზომოდ დამქანცა ამ არა ჩვეულებრივმა თავგადასავლმა. ბუხრის წინ ჩამოვჯექი და სველი ფეხები ცეცხლს მივუშვირე. მაგრამ ის ველარ მათბობს. თითქო ჯადოსნურს ხელს ისიც განუძარცავს: უმოძრაო ალი ცივ ლითონივით ლაპლაპებს და მხოლოდ უცნაური ზოლები მოწმობენ, რომ მას ჯერ კიდევ შერჩენია ძალა განათებისა.

ირგვლივ სიჩუმეა, როგორც მიტოვებულს ტაძარში. ვგრძნობ მხოლოდ რომ ჩემს უკან ფანჯრების ფარდა წყნარად ირხევა.

კარგად ვიცი, რომ ავდგე და გახურებული შუბლით ფანჯრის შუშას მივეყრდნო მაინც ვერავის დავინახავ. დავინახავ მხოლოდ, რომ გარედ დღესაც სთოვს, ისევე როგორც გუშინ, როგორც გუშინწინ, ისევე როგორც იმ სალამოს სთოვდა, ის ამბავი რომ შემემთხვა.

რავდენმა წელმა განვლო მას შემდეგ? ერთმა, ორმა თუ ხუთმა? აღარ მახსოვს. მახსოვს მხოლოდ რომ გარედ ქარ-ბუქი იყო, ოთახში ციოდა, დარაბები ჩამოშვებული იყო, ბოლო ორმაგი კარები ჩაკეცილი. ჩვენ ორივენი მოწყვეტილნი ვიყავით ქვეყნიერებას.

მე ერთს კუთხეში ვიჯექ ფართე გახუნებულს სავარძელში, ის კი მეორეში, პაწია რგვალს სკამზე, ძველი როიალის წინ. სანთლის მკრთალი სინათლე ოდნავ ანათებდა დიდს, ცალიერს ოთახს.

— სადღაც შორს ეხლა გაზაფხულია, ვსთქვი მე: ბედნიერნი ჭაბუკნი ამაყად თავაღერილნი უზრუნველად მიაბიჯებენ ცოცხალი ყვავილების მრავალფერადს ნოხზე. დაუკარ ცოცხალი ყვავილების ჰიმნი.

ის უმოძრაოდ იჯდა ჩემსკენ ზურგშემოქცეული. მისი ჩავარდნილი მკერდი, გამხდარი თეძოები და გაშეშებული სახე სიცოცხლის მოდუნებაზე მეტყველებდნენ. მხოლოდ ხელებშიღა დარჩენილიყო უშრეტი წყურვილი შემოქმედებისა: იმ უცხო ხელებში მუხლებზე რომ ეწყვნენ მოწყვეტილნი.

და აი ხელები უცებ გაცოცხლდნენ და მძაფრად დაჰკრეს როიალის თვალებსა მუდმივ შორეულს, მუდმივ ცალიერს სივრცეს მოსწყდნენ გაუგებარი ხმები, მკვეთრი, სასტიკი და ცივი, როგორც ძახილი გამარჯვებული შურისძიებისა.

— მითხარ ის ხმები ვის ეკუთვნიან? ვერც ღვთაებრივად უბრალო პალესტრინა, ვერც ღრმად მორწმუნე შახი, ვერც გულის თქმით აბობოქრებული ბეეტჰოვენი, ვერც შუმანი ნაზი და სევდიანი მას ვერ შეჰქმნიდა. გრძნეულნო არსებანო! სხვა, უცნობი სავანიდან რომ ჩვენი დედამიწისკენ მოჰქროდით ბნელს, უსინათლო სფეროებში ხომ არსად გაიგონეთ ეს გულის შემკუმშავი ოხვრა ტანჯვისა და სიტკბოებისა.

სულ ჩადგმული საკრავის ბგერა ჩემთვის აუტანელი გახდა, მე გავიწიე მის დასადუმლებლად. მაგრამ ხელები არ შეჩერდნენ; ულმობელნი, ძლიერნი, ვნებით დამთვრალნი ხელები.

მაშინ მივხვდი, თუ რა რიგ სუსტნი ვიყავით იმათ წინაშე ჩვენ ორივენი: ის, როალის წინ რომ თვალებდახუჭული იჯდა, და მე ყურებდაცობილი რომ პირქვე დავემხე ღონემიხდილი.

.... წყნარმა, ჟრუანტელის მომგვრელმა შეხებამ გამომარკვია, შემოდგომის ყვავილის სუნთქვასავით ნაზმა და ალერსიანმა. უკან მოვიხედე: ჩემს მხრებს ხელები ეხებოდნენ, მოდუნებული, ტანჯული, მოსიყვარულე ხელები. ფერმიხდილი, გამჭვირვალე კანი გავარჩიე და სიმებივით ჩამოქნილი, მოლურჯო ძარღვები. მათ დასაჭერად გავიწიე. ისინი ტანისამოსის ნაოჭებში დაიმალნენ.

—

დრო მოდის და თან მიაქვს ყველაფერი, რაც წვრილმანი და უმნიშვნელოა: სახენი, სიტყვანი და შეხედვანი. მხოლოდ ხელები, უცხო ხელები დაძრწიან უგზო-უკვლოდ და ჩემსავით ამაოდ ნათესავებს ეძებენ.

სალამოობით ოთახში შევდივარ უკმაყოფილო და დაღლილი. ქუჩის ფარანი სუსტად ანათებს ფანჯარას და სარკეს, კუთხეში რომ ჰკიდია. ჩემდა უნებურად შიგ ვიცქირები და ჩემს დაღვრემილს, გაკვირვებულის ორობას ვხედავ. ხოლო მის უკან ხელები მოსჩანან: ბედშავი, უსახლკარო, მწირი ხელები. ირგვლივ ვიხედები: ოთახში სხვაგან სრულიად ბნელა. მხოლოდ გასწრივ კედელზე, საწერი სტოლის ზევით, მიცვალებული ბეეთჰოვენის თეთრი ნიღაბი მოსჩანს: პირ მოკუმული, დადუმებული საშინელება...

ვიცი, დღესაც როგორც ყოველთვის, ძილს შუაღამისას უცნაური შრიალი დამიფრთხობს. თავს წამოვყოფ და იდაყვს დავეყრდნობი. სიბნელეში ჩემს წიგნებს თეთრი ხელები ფურცლავენ.

გთხოვ მაკმარე! ღმერთმანი საშინლად დავიქანცე, ნუ ფურცლავ ჩემს რვეულებს: ხომ კარგად იცი შიგა და შიგ გამხმარი სისხლის წვეთებია.

## მზე

ჩემო პაწია მეგობარო, შენ შეიძლება აღარც გახსოვს ჩვენი პირველი შეხვედრა, მე დაგიმეზობლდი სრულიად შემთხვევით, დიდი ქალაქის ერთს მოუსვენარს და მოძრავს ქუჩაზე რომ სცხოვრებდი.

როცა პირველად შენთან შემოველ, შენ მკითხე: როგორ მოგწონთ ახალი ოთახი?

— არა უშავს რა, მაგრამ ჩვენი ფანჯრები ხომ სამხრეთისაკენ იცქირებიან: ჩქარა ცხელი ზაფხული დაგვიდგება და მწვავე მზის სხივები თავს მოგვაბეზრებენ.

შენ ამაზე უბრალოდ და ხმა დაბლად მიპასუხე:—ოჰ, რას ამბობთ, მე ხომ ასე მოუთმენლად ველი მზეს.

ხარისხის გირვ. $4^1/_2$ კაპ. მესამე ხარისხის გირვ. 4 კაპ., პეკლევანი გირ. 5 კაპ. ლავაში და თონის პური გირ. $5^1/_2$ კაპ. ხორცზე: სუკი გირვ. 20 კ. პირველი ხარისხის ხორცი გირვ. 15 კაპ. მეორე ხარისხის 14 კაპ. ერთი ფუთი ხორცი 5 მ. 60 კ. კამეჩის ხორცი გირვ. 9 კაპ. ცხვრისა 16 კაპ. თხის 14 კაპ. ღორის ხორცი საკატლეტო გირვ. 15 კ. დანარჩენი —13 კაპ. ბ. პოლიცმეისტერი ავალებს ბ.ბ. ბოქაულებს თვალ-ყური ადევნონ, რომ ყასბებმა და მეპურეებმა ნიხრზე მეტად არ გაყიდონ. ვინიცობაა თუ ნიხრი დაარღვიეს იმ შემთხვევაში ოქმი შეუდგინონ პასუხის გებაში მისაცემლად და ყოველი ასეთი შემთხვევა აცნობონ მას.

(„ბ. გ.“).

**შეცდომის გასწორება.** გუშინწინდელ გაზეთის ნომერში 1 გვ. **მაიერის** განცხადებაში სწერია ადრესი: „კავკაზი“-ს რედაქციის ქვეშ; უნდა იყოს: **სასტუმრო „კავკაზის“-ს ქვეშ.**

# დეპეშები

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

**პეტერბურგი**

უნივერსიტეტში არეულობა არა ცხრება. ერთი კვირაა, რაც უნივერსიტეტს გარეშემო პოლიცია სდგას. ახლად დანიშნული პროფესორი უდინცოვი პოლიციის თანადასწრებით კითხულობს ლექციებს. წუხელ ობსტრუქცია მოახდინეს. ბევრი სტუდენტი დააპატიმრეს. დღეს სტუდენტობამ სასწრაფო და ხანმოკლე კრება მოახდინეს. უნივერსიტეტში პოლიცია შემოიჭრა. რამდენიმე სტუდენტი დააპატიმრეს.

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

**პეტერბურგი**

**დაშნაკცაკანთა საქმე.** ამ რამდენისამე ხნის წინად დაიკარგა დაშნაკცაკანთა საქმის საყურადღებო საბუთები. ამის გამო დაითხოვეს საბუთების ოთახის გამგე ლიჟინი. ეს ის ლიჟინია, რომელმაც „ნოვოროსიის რესპუბლიკის“ საქმეში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მაშინ სამხედრო სასამართლომ დაადგინა, იუსტიციის მინისტრს ეცნობოს, რომ ლიჟინის მიერ მოხდენილ წინასწარგამოძიების დროს საქმეებში ბევრი სიყალბე აღმოჩნდა, ბევრგან ამოფხეკილი იყო ადგილები და სხვა.

**გ რ ო ზ ნ ა**

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ზელიმხანის 109 ნათესავი დააპატიმრეს და ასახლებენ.

**ბ ა ქ ო**

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

შესდგა ბაქოელ გროზნისა და ინგლისელ ნავთის მრეწველთა უდიდესი ტრუსტი. მთავარი გამგეობა ლონდონში იქნება. ნავთის ფასი იმატებს.

# პედაგოგიური ლამურა.

(პასუხად ბ-ნს თედო ჟორდანიას).

ის სამოსწავლო გეგმა, რომელსაც ბ-ნი ჟორდანია იხსენიებს თავისს ღია წერილში, სწორედ ლამურას მოგაგონებთ. ეს უცნაური ლამურა დაბადებულა განმათავისუფლების მოძრაობის დაწყების პირ ში, შეშინებია ახლად მოვლენილის ძლიერის სინათლისა და მიმალულა. მიმალულა იმ დრომდე, ვიდრე სიბნელე მოიცვაიდა სინათლესა... დიაღ, იმალებოდა ისე სისტემატიურად, რომ იგი ვერ ჩაიგდო ხელში ვერც წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიამ და ვერც მე. თვით მისი არსებობა საეჭვოდ მიაჩნდა ბევრსა. ამ ეჭვს აძლიერებდა ის ფაქტი, რომ სამრევლო სკოლებში სწავლება სწარმოებდა ძველის გეგმის თანახმად, რომელიც შედგენილი იყო ექსარხოსის პავლეს და იანოვსკის მიერ და თითქმის კოპიო იყო საერო სამოსწავლო გეგმისა 1881 წლისა. მართალია, ზოგს სამრევლო სკოლებში ძველი გეგმა ირღვეოდა და ქართული ენა იჩაგრებოდა; მაგრამ ამას აბრალებდნენ მასწავლებელთა უკულმართობას, ლაქიობასა და არა რომელსამე ახალს გეგმასა. თვით იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკოლებში წინანდელი გეგმა მეფობდა, და ამას არ უშლიდა მეთვალყურე ბ-ნი ჟორდანია. ეს ცხადად სჩანს, სხვათა შორის, მასწავლებელთა ჯგუფის იმ წერილიდან, რომელიც მე მივიღე ახალის განკარგულების კოპიოსთან ერთად. ერთი სიტყვით, ეს გეგმა თუ ფორმალურად არსებობდა, ფაქტიურად სრულიად უქმი იყო.

უნდა მოგახსენოთ, რომ სამრევლო სკოლების გეგმა 1902 წლისა იმდენადვე დაბლა სდგას ძველს 1885 წლის გეგმაზე და მზრუნველის იანოვსკის გეგმაზე, რამდენადაც ეს უკანასკნელი ძირს ჩამოუვა ნევეროვის დროის პროგრამასა. ეს უკანასკნელი პროგრამა ამწესებდა ხუთის წლის კურსსა, საგნების სწავლებას ქართულს ენაზე სავალდებულოდ ჰხდიდა კურსის გათავებამდე და რუსულის ენის სწავლებას მხოლოდ მესამე წლიდან იწყებდა. პროგრამა ესე შემუშავებულ იქმნა სახალხო სკოლების მასწავლებელთა საგანგებო კრებაზე, რომელიც გეგმის შედგენის დროს ხელმძღვანელობდა იმ პედაგოგიური ქადაგებით, რომელიც წინ უძღოდა ამ კრების მოქმედებსა. ვინ აწარმოებდა ამ პროპაგანდას, როგორც ქართულს, ისე რუსულს ენაზე, ეს მოსწრებულმა ინტელიგენტებმა კარგად იციან და გახსენება საჭირო არ არის. როცა ნაცვლად ამ პედაგოგიურის პროგრამისა იანოვსკიმ 1881 წელს გამოსცა თავისი პოლიტიკანური პროგრამა, ამ სტრიქონების დამწერმა განიხილა გაზ. „დროების“ სვეტებზე და რა ქარ-ცეცხლში გაატარა იგი, ამას შეიტყობს მკითხველი, თუ არ დაიზარებს და გადიკითხავს ჩემს რჩეულს ნაწერებში სტატიას: „მზრუნველი იანოვსკის სამოსწავლო გეგმა“ (51 59 გვ.).

ბ-ნი ჟორდანია მეკითხება: წაგიკითხნიათ 1902 წლის გეგმაო? უკანასკნელ დღემდინ მე იგი თვალითაც არ მინახავს, რადგანაც მის არსებობაშიაც კი დარწმუნებული არ ვიყავი. მხოლოდ მისი ღია წერილის შემდეგ მოვიხმე ერთი ტფილისის მასწავლებელი, რომელსაც სასულიერო სფერაში ბევრი ნაცნობი ჰყავს და ვთხოვე: გეთაყვა, მიშოვეთ როგორმე დაბეჭდილი გეგმა, მოხსენებული ბ-ნი ჟორდანიას მიერ-მეთქი. უთხარით თქვენს ნაცნობებს, რომ თქვენ თვითონ გინდათ გაიცნოთ, თორემ თუ მიხვდნენ, რომ წერა-კითხვის საზოგადოებისათვის, ან გოგებაშვილისათვის გინდათ, დაგიმალავენ-მეთქი. მომიტანა და გავიცანი.

ახლა მე სამაგიეროდ საკითხს ვუყენებ ბ-ნს ჟორდანიას: გაცნობილი ჰქონდა, თუ არა ხსენებული გეგმა იმავ თავით? თუ ჰო, როგორ მოხდა, რომ მთელის რვა წლის განმავლობაში (1902—1910 წ.) მას არავითარს ყურადღებას არ აქცევდა? როგორ მოხდა, რომ მხოლოდ მეცხრე წელიწადს, როდესაც ბ-ს ჟორდანიას ას თუმნიანი პენსია უკვე დამსახურებული ჰქონდა, მან მკვდრეთით აღადგინა ულტრა-ბიუროკრატიული გეგმა? ამ მუხლის შესახებ ფრიად საგულისხმიერო სიტყვებს ვკითხულობთ ქუთათურის საეპარქიო საბჭოს თავმჯდომარის დეკანოზის კანდელაკის წერილში, რომელიც დაბეჭდილი იყო გაზეთს „Закавказская рѣчь“-ში. საბჭოს სხდომაზე ბ-ნმა ჟორდანიამ სიტყვიერი წინადადება შემოიტანაო: რუსულის ენის სწავლება დავაწყებინოთ პირველი სექტემბრიდან და რუსული წიგნი პირველი იანვრიდანაო. ამ დროს მას ხელში ეჭირა ქაღალდი და ათამაშებდაო. მე და საბჭოს წევრებს გვეგონა, ამ ქაღალდში სრულად რუსეთის მეთვალყურის ბ-ნის ვანჩაკოვის ბრძანება არისო, და ამიტომ სიტყვიერი წინადადება ბ-ნი ჟორდანიასი მივიღეთ და ჟურნალში ჩავიყვანეთო... შემდეგ კი აღმოჩნდაო, რომ იმ ქაღალდში მხოლოდ ის ეწერაო, რომ ორს სკოლაში ბავშვებმა რუსული სუსტად იცოდნენო.

აქ იბადება თავისთავად საკითხი; ბ-ნმა ჟორდანიამ ზემოხსენებული წინადადება თავისით შეიტანა, თუ თანახმად ბ-ნის ვანჩაკოვის ჩაგონებისა? პირველი შეხედვით უკანასკნელი გუმანი უფრო მისაღებია; მაგრამ მხოლოდ პირველი შეხედვით. ბ-ნი ვანჩაკოვი უსათუოდ გაიცნობდა სადირექციო სკოლების სამოსწავლო გეგმასა და იფიქრებდა: თუ ჩვენს სამრევლო სკოლებში უარესი წეს-რიგი შემოვიღეთ, მაშინ იგინი სადირექციო სკოლებად გადიქცევიანო და ჩვენი ხელიდან წავლენო. და ამ მოსაზრებას შეეძლო გზაზე გადაღობებოდა ნახსენებს წინადადებასა. თუ მაინც და მაინც ბ-ნი ვანჩაკოვისაგან მომდინარეობდა ხსენებული ცვლილება, ბ-ნს ჟორდანიას ავტორად იგი უნდა დაესახელებინა, და არა თავისს თავზე მიეღო. მოგეხსენებათ, რომ ყოველ ანტიქართული ცვლილება, მომხდარი ქართველის წინადადებით, უფრო ძნელი გასაუქმებელია, ვიდრე მაშინ, როცა იგი შემოღებულია უცხოელის ბიუროკრატის მიერ. პირველს შემთხვევაში მთავრობა მავნებელს ცვლილებას სთვლის შესაბამად ქართველ ერის და საზოგადოების სურვილისა და არას გზით არ აუქმებს, მეორე შემთხვევაში კი ამისთანა მოსაზრებას ადგილი არა აქვს. ეს აზრი სავსებით მართლდება იმ ფაქტით, რომ ქუთათურის საბჭოს მიერ მიღებულს უკუღმართს ცვლილებას მოჰყოლია რამდენისამე თვის შემდეგ სანქცია უმაღლესი მთავრობისა. თითქმის ეჭვს გარეშეა, რომ ხსენებული დადგენილება უცნობებიათ პეტერბურგში, იქაც იგი ჩაუთვლიათ ქართველის საზოგადოების სურვილად და ბეჭედი დაუკრავთ.

სამოსწავლო გეგმა 1902 წლისა **ქმნილებაა** ქართველთა დიდი „მეგობრისა“ დეკანოზი ვოსტორგოვისა. მხოლოდ მის მიერ შედგენილი გეგმა უარესი იყო სინოდისაგან მიერ შემდეგში დამტკიცებულს გეგმაზე. როცა რედაქციებს და ამ სტრიქონების დამწერს გულშემატკივარ ქართველთაგან მოუვიდათ კოპიო ვოსტორგოვის პროექტისა, ჩვენ წერილი დავსწერეთ რუსულადაც და ქართულადაც ამ პროექტის წინააღმდეგ, სადაც, სხვათა შორის ვამბობდი, რომ ამ გეგმაზე აგებული სკოლები წყევლისა და კრულვას დაიმსახურებენ მთელის ქართველის ერისაგან და მათ ქართველი ხალხი ყველას გადასცემს დირექციებს, სადაც შედარებით უკეთესი გეგმა არსებობს მეთქი. ვისაც სურს ეს საგანი დაახლოვებით გაიცნოს და სავსებით გაითვალისწინოს, თუ რამდენი „სიკეთე“ სწყუროდა დეკანოზს ვოსტორგოვსა, ნუ დაიზარებს და გადიკითხოს ჩვენს „რჩეულს ნაწერებში“ სტატია: დეკანოზი ვოსტორგოვის პროექტი (372—379). სტატიამ ყურადღება მიიქცია აქაც და პეტერბურგშიაც როგორც პროფესორებისა, ისე სტუდენტების და შედეგად ამას მოჰყვა რაოდენიმე ცვლილება ვოსტორგოვის პროექტში. სხვათა შორის, საყურადღებოა ერთი ცვლილება: „კეთილი“ დეკანოზი სახმარებლად სამრევლო სკოლებში ასახელებდა წმინდა რუსულს წიგნებსა და მუნჯურს მეთოდს ურჩევდა. სინოდისაგან მიერ დამტკიცებულს გეგმაში კი მოხსენებულია რუსულის ენის სახელმძღვანელოდ ჩემი Русское Слово პირველს, მეორე და მესამე განყოფილებაში მეოთხე წლამდინ... მიუხედავად ამისა, დეკანოზი ვოსტორგოვი გაიძახოდა და მოითხოვდა მესამე წლიდანვე მუნჯურის სახელმძღვანელოს შემოღებასა, და კიდეც შემოაღებინა ბევრს სკოლაში.

**იაკობ გოგებაშვილი.**


# წლიურ ხელის მომწერთა საყურადღებოდ

ხელის მოწერის პირობების თანახმად წლიურ ხელის-მომწერად ითვლება: ვინც ხელის მოწერის დროს განაცხადებს სურვილს, რომ მთელი წლით უნდა გაზეთი და მაშინვე შემოიტანს 3 მანეთს,

და ვინც წლიურ დანარჩენ ფასს გადიხდის 1 **მარტამდე 2 მ.**, 1 მაისამდე 2 მ. და დანარჩენ 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

რადგანაც 1 **მარტი** ახლოვდება ვთხოვთ ვისაც შემოსატანი აქვს შემოიტანონ 2 მან.—წინააღმდეგ შემთხვევაში დაეკარგება წლიურ ხელის მომწერის უფლება, რომლის ძალიდაც პრემია **მიიღო** და ამიტომ გაზეთის გზანაც შეწყდება.

**„სახალხო გაზეთის“ კანტორა.**


ფიქრებში წასული კუთხეში დავჯექ და თვალებზე ხელები ავიფარე. კარგად გიცან ვინცა ხარ, მეგობარო! შენ მზეს ელი. ეჭვი არ არის შენ ჩრდილოეთის ერთი დიდი და ბურუსიანი ქალაქის შვილი ხარ, ანდერსენის თანამემამულე; შენც ხომ ისეთივე უბრალო და უძირო ხარ, როგორც მისი ზღაპრები. დიდი, ყაზარმის მსგავსი სახლი ნესტიან სარდაფში დაიბადე, ნახევრად მიწაში რომ არის ჩაფლული. მამა შენი სამუშაოდან შინ გვიან ბრუნდებოდა. ძარღვიანი ხელებით აგიყვანდა, მკერდზე მიგიხუტებდა და ფანჯარაში გაგახედებდა. რკინის მავთულებიან ფანჯარაში. მაგრამ მზეს ველარ დაინახავდი: ის უკვე ჩასული იყო.

მერმე როცა წამოიზარდე, თვით შენ აცოცდებოდი ხოლმე სარკმელის ბრტყელს ფიცარზე. მზე საკმაოდ მაღლა იდგა, რომ ოდნავ ფანჯრის გარეშე კუთხეები გაენათებინა. მაგრამ ნორჩ ხელებს ამაოდ იწვდიდი მისი სხივების დასაჭერად: ისინი ნელნელა ზევით მიიწევდნენ რათა იმათთვის გაეშუქებინათ, ზევითა სართულებში რომ სცხოვრობენ.

და ეხლა შენ უცხოეთში მზეს ელი. მეგობარო, მე გამომყე: სამხრეთის შვილი ვარ. ჩვენში ცხრათვალი მნათობი უხვად გვინათებს. მაგრამ, ჩემო კარგო, ჩემი სამშობლოს მზე არავის ეალერსება: ის მეტისმეტად მწვავეა.

**ს ი კ ვ დ ი ლ ი.**

უგუნური და უნიჭო მხატვრები მოარულს ჩონჩხად გხატავენ. ხელში ცელს გაძლევენ მჭრელს, მოელვარეს და ყინულივით ცივს. ეს სახე ბავშობიდანვე შევითვისე: ვძრწოდი მის წინაშე.

გვიან დავრწმუნდი რა რიგ საშინლად ვსცდებოდი. ვხედავ, შენ ნაზი, კეთილი მეგობარი ხარ, ჩვენ შორის უხმოდ დადიხარ, რათა მოსვენება დ ბედნიერება მოგვიტანო.

ხშირად ვგრძნობ შენს სუნთქვას: ის ძილის რულზე უფრო მსუბუქია, ის უფრო ნაზია ვიდრე სიყვარულის ჟღლრსი უცოდველი დედაკაცისა. ამაზე ნაზი, აბა მითხარ, რაღა იქმნება?

მინდა მუხლებზე დაგიჯდე, მთრთოლვარე მკერდს თავი მოგაყრდნო და მოსიყვარულე გულის ცემას ყური დავუგდო. ჩემი გულის ცემა შენსას შეეთვისება, თან და თან მის რითმაში გადავა და ბოლოს წყნარად შეჩერდება. მასთან ერთად სრულიად შეჩერდება რაც ყველაფერზე მტანჯველია და დაუნდობელი: აზროვნება.

და აი მე ვხედავ სიზმარს, პირველს სიზმარს სიკვდილისას. კარები იღება და ფეხაკრეფით ჩემი ღრმად მოხუცი მეგობარი შემოდის. ჩუმად მუხლს იდრეკს და ჩემთვის ლოცულობს. შემდეგ უსიტყვოდ გადის, რათა მყუდროება არ დამირღვიოს. იწყება მუდმივი დუმილი: მას ველარ დაარღვევს ხმა-მაღალი გოდება თმა გაშლილი მოკეთეებისა. სასწაული დამთავრებულია: მიცვალებულის თვალის ჩინი უკვე ციური მთიების სინათლესთან არის შეერთებული, მისი სუნთქვა კი შავი დედამიწის სუნთქვასთან.

**გ. ქ.**

# ლიტერატურულ-მუსიკალური „სალამო“...

მოვალეობა-ჩვეულებისამებრ, სამშაბათს, 14 თებერვალსაც, ვაპირებდი ზუბ. სახალხო სახლში დანიშნულ სალიტერატურო სალამოზე დასწრებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ერთის მხრივ გაზეთ-აფიშებში მოყვანილმა მაცდურმა განცხადებებმა და მეორეც ამხანაგის თხოვნამ გადამიბირეს და გავხდი მოწმე იმ სამარცხვინო საქციელისა, რომელთაც ლიტერატურულ-ხელოვნების სახელით გაუმასპინძლდნენ საზოგადო(ბირჟის) კლუბში... მართლაც დიდ არს მოთმენა ჩვენი საზოგადოებისა, თორემ ყველა ვიგინდარა ასე ვერ დაიბრიყვებდა და ესრეთის თავხედობით არ დაუწყებდა ჯიბეში ხელების ფათურს. ერთსა და ორს ასეთს, საზოგადოების აბუჩად ამგდებს, რომ ეწვენია შესაფერი ზიზღი და სასჯელი, სხვა ველარ გაჰბედავდა.

ამ, უკაცრავული პასუხია, „სალამოში“ ზოგი ისეთი პირი იღებდა მონაწილეობას, რომელთა ასპარეზიც სადმე დაბახანაში მეორე ხარისხოვან სამიკიტნოში უნდა იყოს და ძალიან სამწუხაროა, რომ ამ სალამოში მონაწილეობით თუ სახელის დაკავშირებით, თვის და უნებურად, მსხვერპლი გამხდარიყვნენ ზოგი ჩვენებური პატივცემულნი მწერალ-მოღვაწენი... რა თქმა უნდა, ჩვენს მკითხველს იმდენად პატივსა ვცემთ, რომ მის ყურადღებას ბოროტად არ მოვიხმართ, ამ სალამოზე ნახულ-გაგონილის გაზიარებით, ვიტყვით მხოლოდ რომ ამ სალამო-დომხალის მომწყობს, ახალგაზრდა პოეტი ი. გრიშაშვილი გამოეცხადებინა გამგედ და უკანასკნელმაც, რომ იწვნია იმ სალამოს სირცხვილი, საზოგადოებასთან სიმართლის გამოსარკვევად, იქვე დასწერა და წაიკითხა:

ეხლა თქვენ იცით
რაშია საქმე?
ან დღეს შემთხვევით
რათა ვარ აქ მე?..
მოვიდა ჩემთან
ერთი ოხერი—
მითხრა: „თუ არ ხარ
სამშობლოს მტერი—
ნუ დამკლავ, ბიჭო,
გამიკითხეო!
„ბირჟაში“ ლექსი
წაიკითხეო!“
უარი ვუთხარ—
არ დამიჯერა...
და როგორც ჰხედავთ,
გამგედ დამწერა.
ეხლა როგორც თქვენ
მეც ვარ ტანჯული!..
გამგე, არა ვარ—
ღმერთი და რჯული
არც ვიცი ფული,
შემოსავალი
თუ ვის ეკუთვნის:
კაცია? ქალი?..
და თუ შესწუხდეთ
ამათ ყურებით —
გთხოვთ მე ნურავინ
დამემდურებით.

**გ. ა—ლი.**

# ქართული სალამო დორპატში

**(წერილი იურევიდან)**

2 თებერვალს დორპატის ქართველ სტუდენტთა სათვისტომომ გამართა მეცხრე ტრადიციონული ქართული სალამო. სალამოს, ჩვეულებისამებრ, აუარებელი ხალხი მოაწყდა, რომელიც ფრიად ნასიამოვნები და კმაყოფილი დარჩა. ძვირად თუ იმართება დორპატში ისეთი ლამაზი და შინაარსიანი სალამო, როგორც ქართულია; ეს, უმთავრესად, იმით აიხსნება, რომ ყველა ქართველი სტუდენტი ამ საზოგადო საქმეს საკუთარ საქმედაც სცნობს და არც ერთი წევრი ქართულ სათვისტომოისა არა ნაღვლობს არც დროს დაკარგვას, არც ენერგიის დახარჯვასა და სხვ., იგი ყოველწლივ ხალისით და სიამოვნებით ეწევა ამ საქმეს; არც საზოგადოება რჩება ვალში, ისიც აღტაცებით ელოდება ამ სალამოს, რომ ახალგაზრდობას დიდი შრომისათვის შესაფერი მადლობაც მიუძღვნას.

წელს წინანდელზე მეტი ყურადღება მიიპყრო მომღერალთა გუნდმა, რომელმაც რამდენიმე სიმღერა შეასრულა ჩვენი ნიჭიერი კომპოზიტორის **კოტე ფოცხვერაშვილის ოპერიდან: „კერპთა დამხობა“**, რომლებიც ავტორისავე დირიჟორობით იქმნა შესრულებული. ეს ოპერა, რამდენადაც შეგვიძლიან ვიქონიოთ მსჯელობა მაზე ამ ნაწყვეტების მიხედვით, შესანიშნავი, მდიდარი ნაწარმოები უნდა იყოს; ყოველი ჰანგი ნათლად გვისახავს ნაცნობ, მშობლიურ ხმებს, რომლის აკვანი იქ არის, „სადაც ვშობილვართ, გაგვზრდილავართ“ და რომელიც ჩვენთვის ჯერ ნამხელი არ იყო; იგი უცნობი, მდიდარი განძია, ჩვენი ძველების სულის კვნესაა, მაგრამ არც ისე უცხო; მას ჩვენს ბუნებასთან მჭიდრო კავშირი აქვს, მას ჩვენის ალღოით, ინსტინქტით ვიცნობთ. აი, რისგამო იყო შეუდარებელის აღტაცებით მოსმენილი სხვა და სხვა ადგილები ამ ოპერიდან, არა მარტო ქართველების მიერ, არამედ გერმანელებისა და რუსებისაგანაც, რომელთაც ეს ახალი, თავისებური მდიდარი და ლამაზი ჰანგები ხიბლავს და ატკბობს; ამის გამო ავტორს გაამეორებიეს ზოგი სიმღერები და შემდეგ დაუსრულებელის ტაშის ცემით დააჯილდოვეს;

ქართველთა სათვისტომომ, რომლის საპატიო წევრად ირიცხება ახალგაზრდა კომპოზიტორი, პატივისცემის ნიშნად გვირგვინი მიართვა შესაფერის წარწერით.

მეტად კარგი იყო ახალგაზრდა ქართველი მომღერალი **ა. დოლიძე;** მას ძლიერი ბარიტონი აქვს და მეტად სასიამოვნოდაც მღერის; განსაკუთრებით კარგად ჩაატარეს მან და საიმპერატორო თეატრის არტისტკა ქალმა ოკუნევისამ (დუეტით) რომანსი „აყვავებულა მდელო“...

ბ-ნი დოლიძე საზოგადოებამ ბევრჯერ გამოიწვია და მხურვალე ტაშით მიეგება. **ცოცხალმა სურათებმაც** („თქმულება ამირანზე“) აღტაცებაში მოიყვანა დამსწრენი; უკანასკნელის მხატვრული მხარე იმდენად ძლიერი არ იყო, რამდენადაც მუსიკალური; ეს მუსიკაც ბ-5 ფოცხვერაშვილს ეკუთვნის; განსაკუთრებით კარგი და წარმტაცი იყო მუსიკა „წერილის კითხვ“-ის, „დატირებ“-ის დ „ხმალთა ლესვ“-ის დროს.

კარგი იყო **ეროვნული ცეკვა:** „ლეკური“, „კინტაური“, „დავლური“ და სხვა, რომელთა აღსრულების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრეს **ქ-მა მ. ჭეიშვილმა ბ-მა ნ. გულისაშვილმა, ნ. ჩხეიძემ** და სხვათა არა ნაკლებ ლამაზად იცეკვეს დარბაზში პეტერბურგიდან, ამ სალამოზე დასასწრებლად საგანგებოდ, ჩამოსულმა სტუდენტებმა.

საზოგადოდ სალამო ცოცხალი და მხიარული იყო და ხალხიც დილის 7 საათამდე არ დაშლილა.

საზოგადოების ყურადღებას, სხვათა შორის, ლამაზი, სტილური დეკორაციებიც იქცევდა; განსაკუთრებით კარგად იყო მორთულ დარბაზში ასასვლელი კიბე; იგი წარმოადგენდა [illegible] ლამაზად [illegible] თეთრი და შავი ყურძნის [illegible]

საზოგადოდ **ბ-ნ გეგელაშვილს** დეკორაციების მოწყობისათვის ძალღონე და უნარი არ დაუზოგნია.

სცენაზე დარბაზში ლამაზად და ამაყად გამოიყურებოდა დიდრონი სურათები: თამარ მეფისა, შოთასი, ილიასი, აკაკის, ყაზბეგისა და სხვა მგოსანთა.

ფრიად სასიამოვნო უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ წრევანდელ სალამოს, წინანდელთან შედარებით, უფრო ემჩნეოდა ქართული ელფერი: სიმღერები, სურათები მუსიკა, ცეკვა ყველა ამას ნათლად ემჩნეოდა რაღაც შემფერი, ნათესაური ძალა—ეს იყო ქართული სული. ეს შთაბეჭდილება უფრო გააღრმავა **ბ-მა პრომზარიცხიმ**, რომელმაც როიალზე მეტად ცოცხლად და მოხდენილად დაუკრა ჩვენებური ბაიათები.

ყველა ეს უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ საგაიხოდ, როცა სათვისტომო მეათე, საიუბილეო სალამოს გამართავს, საზოგადოება, რომელიც მუდამ კმაყოფილი რჩებოდა ჩვენის სალამოთი, მეტის გულმოდგინებით და აღფრთოვანებით მიეგებება მას.

**აკ. მდევარი.**

# ხმა ადესიდან.

ადესაში ქართველთა რიცხვი რუსეთის სხვა ქალაქებზე ნაკლები არ არის, მაგრამ დღევანდლამდე არავითარი ქართული დაწესებულება არ მოიპოვება.

ამ ორი წლის წინად, ბ-ნ ჯუღელს (ვექილია) განუზრახავს ქართველთა სათვისტომოს დაარსების ნებართვის ასაღებად მიუმართავს ქალაქის უფროსად ნამყოფ ღენ. ტოლმაჩევისთვის, რომელსაც, როგორც მოსალოდნელი იყო, ნება არ დაურთავს. დღეს შედარებით უკეთეს პირობებში ვართ. ეჭვი არ არის, რომ ახალი ქალაქის უფროსი კამერგერი სასნოვსკი*) ნებას დართავს მის დაარსებაზე. თუ მიმართა კარგს იზამდა ბ. ჯუღელი, რომ ხელ-ახლა იკისრებდეს სატვისტომოს დაარსებას და საჭიროებელს ჩაუყრიდეს ამ საქმეს.

აქ არიან: ქართველი პროფესორები, ვექილი, მასწავლებლები, ექიმები, ფარმაცევტები, საბაჟოსა და ბევრი სხვა და სხვა დაწესებულებაში მოსამსახურენი, ვაჭრები, მუშები და სხვა. არიან რამდენიმე სამხედრო პირიც. ამათგანი არა ერთი და ორი ცოლ-შვილიანია. და ეს უკანასკნელნი გვაიძულებენ დავასრულოთ აქ რამე ქართული დაწესებულება, რომ მათი შვილები გადაგვარების გზას არ დაადგნენ.

ადვილად შეიძლება ქართული კლუბის დაარსება, სადაც გვექნებოდა პატარა სამკითხველოც. ამ კლუბში თვეში ორ-სამჯერ გაიმართებოდა სოჯახო სალამო, რეფერატები და წარმოდგენები. ჩვენ კლუბს ეყოლება არა ერთი და ორი საპატიო წევრი, რომელნიც დიდ დახმარებას გაუწევენ მას. აგრეთვე დახმარებას მისცემენ ამ კლუბს ქართველი ვაჭრები, რომელნიც ადესის ხშირი სტუმრები არიან.

აქ მოსამსახურე ქართველ ფარმაცევტებს დიდი კავშირი აქვთ ერთმანეთში. თუმცა სულ 18 კაცია, მაგრამ ურთ-ერთ დამხმარებელი კასაც დაუარსებიათ. კასას მიზნად აქვს დახმარება გაუწიოს თავის წევრებს ფულის სესხით. ამ პატარა ხნის განმავლობაში, მათ უკვე რამოდენიმე ასი მანეთი ჰქონიათ. კასას თავისი მოქმედება წარსულ დეკემბერში დაუწყია.

**ი. ნატალიაშვილი.**

# იაპონური ზღაპარი

**სარკე და ზარი.**

ლაფკადიო ჰირნისა.

ამ რვაასი წლის წინად თოთომის მაზრის მუღენიამის ქურუმებმა განიზრახეს თავიანთ ტაძრისათვის ახალი დიდი ზარი ჩამოესხათ. რაკი ამისათვის ლითონი იყო ბლომად საჭირო, მათ თავიანთ ოლქის ქალებს მიმართეს თხოვნით შეეწირათ ზარისათვის ბრინჯაოს ძველი სარკეები.

ეხლაც შეხედვებით ტაძრის ეზოში მთელ ხროვას მორწმუნეთა მიერ

*) როდესაც ქართველი სტუდენტები იყვნენ ბ. სასნოვსკისთან ქართულ სალამოს გამართვის ნებართვის ასაღებად, მან ძალიან გაკვირვება, რომ აქ ქართველებს არ აქვთ არავითარი თავიანთი დაწესებულება.

**ძვბ.**

შეწირულ ბრინჯაოს სარკეებისას. ყველაზე მეტი ამგვარი საწირავი ინახე ქიუ-შუს მაზრის სოფელ, ჰაქათამაში, იოდოს სექტის (მწვალებელთა) ტაძრის გალავანში. ეს სარკეები შეეგროვებინათ ამიდის ვეება, ხუთარშინიან ქანდაკების ჩამოსასხმელად.

სხვათა შორის სარკე შესწირა ერთმა ახალგაზდა ქალმა, მდიდარი მეურნე გლეხის ცოლმა. მაგრამ მალე გადაუტრიალდა გული, დაენანა თავისი სარკე. მოაგონდა დედის სიტყვები ამ სარკეზე, მოაგონდა, რომ ის არა მარტო დედას, არამედ დიდედას და დიდედის დედას ეკუთვნოდა, გაახსენდა ბედნიერი ღიმილი, მთელ ამ ხნის განმავლობაში სარკეში რომ გამოჩნდებოდა ხოლმე. მას, რასაკვირველია, შეეძლო ეს ძვირფასი სახსოვარი გამოეყიდნა, მაგრამ ამისათვის ფული იყო საჭირო, ფული კი მას არა ჰქონდა. ყოველ დროს, როცა კი ტაძარში მივიდოდა, ჰხედავდა მოაჯირის იქით სარკეების ხროვაში თვის სარკეს. მას ადვილადა სცნობდა—მეორე გვერდზე ამოჭრილი ჰქონდა ში-ჩიქუ-ბაი, სამი სიმბოლო ბედნიერებისა—ფიჭვი, ინდოეთის ლერწამი და ქლიავის ყვავილი, რომელთაც ისეთ ალტაცებაში მოჰყავდათ ის პატარაობისას, როცა დედა აჩვენებდა ხოლმე. სწუხდა ახალგაზდა ქალი, უკვდებოდა გული და შემთხვევას ელოდა, რომ სარკე მოეპარნა. ოჰ, როგორ ჩაჩქმალავდა მას, როგორ გაუფრთხილდებოდა!.. მაგრამ შემთხვევა არ ეძლეოდა... ქალი უფრო და უფრო იტანჯებოდა. სულ ის უდგა თვალწინ—მოუფიქრებლად გავაჩუქე ჩემი სიცოცხლის ნაწილიო. სულ ძველი თქულება აგონდებოდა—„სარკე-სულია ქალისა“, რომელიც მრავალ სარკეს მეორე გვერდზე ჩინურად ეწერა და შიშით ეკითხებოდა თავის თავს—ამ თქმულებას ხომ უფრო ღრმა, საბედისწერო აზრი არა აქვს, ვიდრე მე ვფიქრობდი წინადაო. მაგრამ ვერ გაებედნა თავის ეჭვები და ვარამი ვინმესთვის გაეზიარებინა.

*

ბოლოს იწყეს ზარის ჩამოსხმაც. აქ ჩამომსხმელებმა დაინახეს, რომ ერთი სარკე არა დნებოდა. ბევრი ეცადნენ გაედნოთ ეს სარკე, მოუმარჯვეს ცეცხლიც, მაგრამ ის მთელი იყო ისევა. ეტყობოდა შემომწირავს წმინდა გულით არ მოეტანა, დაჰნანებოდა ის, იმისი ბნელი, მწიკვლიანი სული თითქოს ამ სარკეს ჩასდგმოდა, რომ მას გადასადნობ ფეჩშიაც კი სიმხურვალე არ ეკარებოდა, ცივი იყო, მაგარი.

ეს ამბავი სწრაფად მოედო მთელს სოფელს, ყველამ გაიგო, რომ ცეცხლში ერთი სარკე არა დნებოდა. იდუმალი სურვილი ყმაწვილ ქალისა გამომჟღავნებული იყო. გაცეცხლდა საბრალო, შერცხვა; ასეთი თავის მოჭრა ველარ გადაიტანა, დასწერა წერილი და წყალში დაიხრჩო თავი. „ჩემი სიკვდილის შემდეგ, სწერდა ის წერილში, ადვილი იქნება ჩემი სარკის გადნობა. ზარს ჩამოასხამენ. მაგრამ ვინც რეკის დროს ამ ზარს გასტეხავს, დიდ ბედსა ვწემ“-ო.

*

აქ უნდა მოგახსენოთ, რომ შორეულ აღმოსავლეთში ხალხსა სჯერა—თავის მკვლელმა რომ რამე აღთქმა დასდოს, ან და ვინმე რომ მოკვდეს გაბოროტებული, ღვარძლით გულში, სიკვდილის წინ რასაც იტყვის, უეჭველად ასრულდებაო. სარკე რომ გადაადნეს და ზარი ჩამოასხეს, მოაგონდათ ის წერილი. ყველას მტკიცედა სწამდა, რომ ვინც ზარს გასტეხდა, უეჭველად გამდიდრდებაო. ზარი ჯერ არც კი ჩამოეკიდნათ, რომ ტაძარს დიდი ხალხი მოაწყდა. უნდოდათ ერეკათ. ჩამოჰკიდეს ზარი. მიესია ყველა. რეკდნენ რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, მაგრამ ზარი მაგარი გამოდგა, არა ტყდებოდა. ხალხს მაინც იმედი არ ეკარგებოდა. დღე, ღამე, განუწყვეტლივ გაჰქონდა ზარს გუგუნი, თუმცა ქურუმები სთხოვდნენ გაჩერებულიყვნენ, იმუქრებოდნენ. ბოლოს ქურუმთ მოთმინება გაუწყდათ. ზარი ნამდვილი მაცთური შეიქმნა ხალხისათვის. რომ მოესვენათ, ზარი სერიდან დააგორეს და ჭაობში ჩააგდეს. ჭაობი ღრმა იყო, ზარი სამუდამოდ ჩაიმალა, გაჰქრა. ასეთი ბოლო ჰქონდა მასა. ეს ლეგენდა ლა დარჩა, ლეგენდა მუღენქანესი, ანუ მუღენის ზარის შესახებ.

—

ზარი რომ ჭაობში ჩააგდეს, იმის შემდეგ, რასაკვირველია, გაჰქრა იმის გატეხის იმედიც. მაგრამ ბევრს არ უნდოდა ეს იმედი დაეკარგა. რეკდნენ, არახუნებდნენ სხვა და სხვა საგნებს, ვითომდა ზარიაო. უნდოდათ ამით გაეხარებინათ მიცვალებულის სულიც, რომელმაც იმოდენა უბედურობა მოახდინა. მათ შორის ერთი ქალი ერია, სახელად უმეღაე. იაპონური თქმულებით უმეღაე ძალიან დაახლოვებული იყო ჰეიქელ მეომარ ქაჯივარა ქაჰესუესთან. ერთხელ ქაჰესუე და უმეღაე ერთად მოგზაურობდნენ. ქაჰესუეს ფული დასჭირდა ძალიან. მაშინ უმეღაეს მოაგონდა, რომ მუღენის ზარს სასწაულის მოხდენა შეუძლიანო, აიღო ბრინჯაოს ტაშტი, გონებაში წარმოიდგინა, ვითომ ის ჩაძირული ზარი იყო და რაც ძალი და ღონე ჰქონდა უწყო რახუნი, თან ხმა-მაღლა სამას ოქროსა ნატრობდა. იმდენი არახუნა, სანამ ტაშტი არ გასტეხა. იმავე სასტუმროში ჩამომხტარი იყო ერთი კაცი. იმან იკითხა ასეთი ყვირილისა და ხმაურობის მიზეზი და მათი გაჭირვება რომ გაიგო, აჩუქა უმეღაეს სამასი ოქრო. შემდეგში უმეღაეს ტაშტს ლექსიც შეუდგინეს. ამ ლექსს მოცეკვავე ქალები დღესაც მღერიან:

უმეღაე ნო ჩოზუბაჩი თათაითე
ო-ქანე ლა დერუ ნარაბა,
მინა სან მი-უქე უო
სორე თანომიმასუ.

(მე რომ ტაშტი გამეტეხა და გავმდიდრებულიყა, თქვენ, მეგობარნო, ყველას თავისუფლებას მოგანიჭებდით)..

მუღენ-ქანეს ამბავი მთელს ქვეყანას მოედო. უმეღაესავით ბევრი არახუნებდა ტაშს, იქნება მეც მეწიოს ბედიო.

მუღენიამის ახლოს, ოიღავის ნაპირას, სცხოვრობდა ერთი გლეხი. ეს გლეხი ძალიან გარყვნილს ცხოვრებას ეწეოდა და მთელი ქონებაც გაფლანგა. რომ აღარაფერი დარჩა, მოესურვა ტაშტის შემწეობით გამდიდრებულიყო. ბევრი აღარ იფიქრა. გააკეთა თიხის ზარი მუღენქანესავით, ხმამაღლა ინატრა სიმდიდრე, დასცხო ამ თიხის ზარს და დაამსხვრია.

უცებ გაჩნდა ერთი ქალი, თეთრ, გაფრიალებულ ტანისამოსში, გრძელი, გაშლილი თმით. ხელში თავდახურული ქოთანი ეჭირა.

— შევისმინე შენი გულმოდგინე ლოცვა,—უთხრა მან გლეხს,—და გამოგეცხადე, რომ ღირსეულად დაგასაჩუქრო. მიიღე ეს ქოთანი. მიაწოდა ქოთანი და გაჰქრა,

სიხარულისაგან გაბრუებული გლეხი გაექანა სახლში, რომ თავისი ბედნიერება ცოლისათვის ეამბნა. ქოთანი ძალიან მძიმე იყო. დაიდგეს წინა. სული ელეოდათ სიხარულით და ცნობის მოყვარეობით, ახადეს თავი და დაინახეს, რომ სავსე იყო...

არა, ვერ გაგიბედავთ მოგახსენოთ რით იყო სავსე...

სან-განიძე.

# ჩინეთის რესპუბლიკა

## დეპეშები.

**პეკინი.** ნანკანიდან ჩამოსულ დელეგატებს სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა მოხელენი და სავაჭრო საზოგადოებათა დეპუტაციები დაჰხვდნენ. დელეგატების გასავლელ გზაზე ყველგან ჯარი იდგა. 15 თებერვალს დელეგატები იუანშიკაის ეწვევიან. ამბობენ, დელეგატები დედოფალსაც ნახავენო. პეკინს როგორც კერძო პირი, ჩამოვიდა თაონშაო. დედოფლის დაბადების დღეს დიდებულთ ძველებურად მიულოცეს.

**ჩიფუ.** გემიდან ბევრი სამხედრო ნივთი გადმოიღეს. მოხალისებს აგროვებენ და სამხედრო წესებს ასწავლიან. რესპუბლიკელებთან ვენტუნელებს ვეიჰაივეიში მოლაპარაკება აქვთ, მაგრამ ვერას გამხდარან. ვენტუნელებს მიემხრო სამი სოფელი და პარტიზანული ომი დაიწყეს. მათ დასამშვიდებლად 500 ჯარის კაცი გაჰგზავნეს. ჩინეთის ორი კრეისერი სამხრეთს წავიდა.

**ხარბინი.** რადგანაც ყველგან მშვიდობიანობა დამყარდა, ფუძიანს მოსული ჩინელთა რაზმები უკან მიდის.

# ოსმალეთ-იტალიის ომი

## დეპეშები.

**სტამბოლი.** დილას ბეირუტში საფრანგეთის კრეისერი მისულა. ბეირუტიდან იუწყებიან, ინციდენტი კონსულებს კი არა, ვიცე-კონსულებს მოუხდათო. რუსეთისა და გერმანიის კონსული ბრბოს გაუჩერებია, მაგრამ კოფოზე ერთი არაბი შემჯდარა და სამშვიდობოს გაუცილებია კონსულები. ვალის სიტყვით, ხალხის აღელვების ამბავს ჰმალავენ, თუმცა იარილის მაღაზიის გაძარცვა ოფიციალურად აღიარესირიის ნაპირებზე იტალიელთა გემების მოქმედებისა არა ისმის რა. იტალიელების საქციელმა სტამბოლში ძალიან აღელვა ხალხი, მორიგების იმედი ეხლა თითქმის სულ არ არის.

**ლონდონი.** „რეიტერი“ იუწყება, თუ იტალიამ ეგეს ზღვაზე ბრძოლა დაიწყო, დარდანელის დასაცავად ოსმალეთი იღონებს რასმე და ეს ამბავი უკვე აცნობა სხვა სახელმწიფოებსაო.

**ტრაპანი.** (დაგვიანებული), აქაურ წყლებში დაატყვევეს გემი, რომელსაც 250 ტონა სამხედრო ნივთი მიჰქონდა ტრიპოლის ოსმალთათვის.

**პარიზი.** გაზეთებმა ამას წინად ხმა გაავრცელეს, საფრანგეთმა, რუსეთმა და ინგლისმა მოისურვეს ოსმალეთისათვის ტრიპოლიდან ჯარის გაყვანის წინადადება მიეცათო. ამის გამო „ჰავასი“ იუწყება, მთავრობა, მზად არის შუამავლობა იკისროს შესარიგებლადაო.

# დეპეშები

## საზღვარ-გარედ.

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

15 თებერვალი

### გაფიცვის საკითხი

**ლონდონი.** მაღაროების პატრონები ასკვიტთან იყვნენ. ასკვიტს მათს მოსვლამდე გრეისთან, დექსტონთან და ვაჭრობის სამინისტროს მოხელეებთან ჰქონდა მოლაპარაკება. მთა-მადნის მუშებმა გადასწყვიტეს, თუ გაფიცვა გამოვაცხადეთ, მაღაროების უზრუნველსაყოფად სამყოფ მუშას დავტოვებთო.

სოციალისტთა პარტიამ ცხარე მოწოდება გამოსცა. იგი მუშებს ურჩევს, შუამავლებსა და სამედიატორო სასამართლოს თავი დაანებეთო.

სარკინიგზო ამხანაგობათ გადასწყვიტეს, თუ გაფიცვა გამოაცხადეს მთა მადნის მუშებმა ჩვენც შევამცირებთ მატარებელთა მიმოსვლასაო. სამხედრო სამინისტრომ რკინის გზებზე ჯარი ჩააყენა.

მთა მადანთა მუშების კავშირმა ერთხმად გადასწყვიტა გარეშე საქმეთა სამინისტროს მიერ გამართულ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღონ ყველა დელეგატმა.

ოფიციალურის ცნობით, მორიგება მოხდება.

შუა ინგლისის მთა-მადანთა 32 ათასი მუშა კიდევ გაიფიცა. მაღაროების პატრონები გარეშე საქმეთა სამინისტროში შეიკრიბნენ მთავრობასა და მუშებთან მოლაპარაკების გასამართავად.

ადმირალ ბერესფორდს ჩერჩილმა უპასუხა, ორი თვის წინად ფლოტმა თადარიგი დაიჭირა და ყველაფერი დაამზადა იმ შემთხვევისთვის, თუ ქვანახშირის მადნებში გაფიცვა მოხდაო.

### სრულა პალატაში.

**ლონდონი.** პალატის სხდომის დროს ერთმა უცნობმა, რომელსაც სასულიერო პირის ტანისამოსი ეცვა, ჭერში რევოლვერი დასცალა. რევოლვერის პატრონები უტყვიო იყო. დამნაშავე შეიპყრეს. ეტყობა სულით ავადმყოფია.

### მინისტრის განცხადება.

**ლისაბონია.** იუსტიციის მინისტრმა პალატაში განაცხადა, მთავრობას აზრად არ მოჰსვლია პორტუგალიის რომლისამე ახალშენის დათმობაო.

### ალბანეთი.

**უსკიუბი.** ალბანელებთან შემრიგებელ კომისიას შინაგან საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით სხდომა ჰქონდა. საეჭვოა, მოლაპარაკებით გახდნენ რასმე. ალბანელები კომისიას არ ენდობიან. კომისია პრიზრენს წავიდა.

### კამილ ფლამარიონი.

**პარიზი.** აქ იდღესასწაულეს განთქმულ ასტრონომის კამილ ფლამარიონის სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლის თავი.

### ამერიკის პალატა.

**ვაშინგტონი.** საზღვაო მინისტრმა მეიერმა წარმომადგენელთა პალატაში დაიცვა პროგრამა, რომელიც წელიწადში ორის გემის აშენებას მოითხოვდა. მეიერმა უმავთულო ტელეფონის მოსაწყობად რამდენიმე მილიონი მოითხოვა. ტელეფონი მთელ ქვეყანაზე იქნება მოწყობილი ამერიკის გემებს ერთმანეთთან ყოველთვის ექნებათ კავშირიო.

### ხორვატელთა დემონსტრაცია

**ზაგრები.** ქალაქის განაპირა უბნებში დემონსტრაციები ისევ იმართება. უნგრეთის რკინის გზის სამმართველოს ფანჯრები ჩაამსხვრიეს. დააპატიმრეს რამდენიმე დემონსტრანტი. ზოგიერთ ოპოზიციურ გაზეთების ხელზე გაყიდვა აკრძალეს.

### გერმანიის რეიჰსტაგი.

**ბერლინი.** რეიჰსტაგმა მოიწონა ოსმალეთ-გერმანიის სავაჭრო ხელშეკრულება.

### ქალთა კონგრესი.

**ბერლინი.** გერმანელ ქალთა კონგრესი დაიწყო. დელეგატები უცხოეთიდანაც მოვიდნენ, სხვათა შორის, ფინლანდიელ ქალთა კავშირის წარმომადგენლებიც.

### ჩეხელთა სკოლა.

**ვენა.** ვენის ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა, თუმცა სასამართლოს უმაღლესმა ინსტანციამ უკანონოდ სცნო მე-13 ოლქში ჩეხელთა სასწავლებლის დაკეტვა, მაგრამ მისი გაღება მაინც შეუძლებელიაო.

**ტოკიო.** ცეცხლის მფრქვეველმა მთამ იაკეიამმა მოქმედება დაიწყო. მისი ფერფლი ტოკიომდე აღწევს.

## რ უ ს ე თ ი

### ადგილობრივი მეურნეობის საბჭოს სესია.

**პეტერბურგი.** დაიწყო ადგილობრივ სამეურნეო საქმეთა საბჭოს სესია შინაგან საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით. ამოირჩიეს სამი კომისია: სანიტარული, დამზღვევი და სიფხიზლისა.

### მცხოვრებელთა რაოდენობა.

**მოსკოვი.** მოსკოვში წინასწარის გამოანგარიშებით 1.579.420 მცხოვრები ყოფილა.

### ყაჩაღის შეპყრობა.

**კიევი.** შეიპყრეს სავიცკის თანამოზიარე შჩედრინი, რომელიც კატორღიდან გამოქცეულა და ახალი ბრბო შეუდგენია.

### რედაქტორის დასჯა.

**მოსკოვი.** საოლქო სასამართლომ „მოსკოვსკია ვედომოსტის“ რედაქტორს ტიხომიროვს და მუშა კუზნეცოვს ქალაქის სკოლის მასწავლებელ ქალის ოკულიჩის ცილისწამებისთვის ორი თვით დატუსაღება მიუსაჯა.

### ილიოდორის მოადგილე.

**პეტერბურგი.** ცარიცინის მონასტრის გამგედ ილიოდორის მაგიერ სინოდმა ბერ-მონაზონი ირინახი დანიშნა.

# თეატრი და ხელოვნება

**სახალხო სახლი.** ხვალ, 17 თებერვალს, ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის რეჟისორის ა. წუწუნავას ბენეფისია. წარმოადგენენ კ. ფოცხვერაშვილის „აშენდა საქართველო“-ს და ს. ჰანტურიშვილის „მორევში“-ს.

**ლეონ ტოლსტოის პიესა „ცოცხალი მკვდარი ქართულ სცენაზე.** მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს ქართულს თეატრში ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება ლეონ ტოლსტოის ცნობილი პიესა, ცოცხლი მკვდარი, რომელშიაც მთავარ როლებს თამაშობენ. პროტასოვს ალ. იმედაშვილი ლიზას—დავითაშვილი მაშას—ამირეჯიბი, საშას—ლეჟავა, კარენინას—კარგარეთელი, ვიქტორ კარენინს—გუნია, თავ. აბრესკოვს—მესხი და სხვანი. პიესას სდგამს მოსკოვის სამხატვრო თეატრის მიზანსცენების მიხედვით ვასილ აბაშიძე, რომელიც მოსკოვში დასწრებია პირველ წარმოდგენას. იმედი უნდა ვიქონიოთ ქართული საზოგადოება დაინტერესდება ამ პიესით. სხვათა შორის ეს პიესა ქუთაისის სცენაზე ზედიზედ სამჯერ წარმოადგინეს ქართულად. საზოგადოებას ძრიელ მოსწონებია. პროტასოვის როლს იქაც იმედაშვილი თამაშობდა.

# წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ შეძლება მომცეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადო იმ პირთ, რომელთაც ფული შემოსწირეს 3-ს ამა თებერვალს საგარეჯოს ორკლასიან სკოლის მოწაფეთათვის საყმაწვილო წარმოდგენის მოსაწყობად. სია შემომწირველთა; ნ. ი. ბაზიეროვი—5 მან., ექიმი ა. პ. ფალიევი—3 მან., მღ. დ. ბურთიკაშვილი—1 მან.; ე. ა. ქიქოძე—1 მან., ს. პ. ლომიძე—1 მან., ვ. კ. ზემიანსკი—1 მან. ა. პ. მალიშევსკი—1 მან. №—1 მან. 7 კ. ი. ნ. ქურხული—20 კ. სულ 16 მან. და 27 კ.

საგარეჯოს ორკლასიანი სკოლის გამგე პ. წირქვაძე.

# ჩვენი ფოსტა

**ქუთაისი** მ-ს ვ. მალანჩივაძეს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.

# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა მიმოსვლა

**ზამთრობით** (15 ოქტომბრიდან 1911 წ.)

(დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

### ტფილისიდან გადის.

**ბათუმისაკენ:** 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—III კლ., ხაღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. საღ. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 3 წ.

**ბაქოსაკენ:** 1) ჩქარი მატ. № 2, I—II კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარაში ღამ. 11 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ. № 6, I—II კლ. დღ. 3 ს. 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარაში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 11 წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—III კლ. ღამ. 11 ს. 8 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარაში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარაში დილ. 5 ს. 58 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

**ბორჯომისაკენ:** 1) სამგზ. მატარებ. № 9/66, I—III კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

**ჯულფასა და ერევნისაკენ:** 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. საღ. 11 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 1 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

### ტფილისში მოდის.

**ბათუმიდან:** 1) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, I—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

**ბაქოდან:** 1) სამგზ. № 5, I—III კლას. საღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 107, IV—III კლ. ღამის 9 ს.

**ერევან-ჯულფიდან:** საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. 1 ს. 40 წ.

**ბორჯომიდან:** სამგზ. № 61/60, I—II კლ. დილ. 8 ს.

**შენიშვნები:** 1) გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

## გემების მიმოსვლა შავ ზღვაზე.

(ზამთარში).

### რუსეთის საზოგადოებისა.

**ბათუმიდან გადის:** ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის, მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს: პირ და პირ—სოხუმით, გაგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკით-ფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუაღამეს.

**სახალხო გემები** ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევის 2 საათს.

**სახალხო-საქონლის** გემები—ესენიც ყველა ქალაქისკენ გაევლიან ოთხშაბათობით და პარასკეობით შუაღამეს.

## უფასო საექიმო დახმარება

### ქალაქის საბჭოს ექიმები.

| უბნები | |
|---|---|
| 1—2 | **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592). |
| 3—4 | **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619). |
| 5—6 | **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680). |
| 6—7 | **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816). |
| 8—9 | **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715). |
| 10, 11—12 | **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715) |

## ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტი შესახვ. 5. ტელ. 487).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სანიტარია წესების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარიო მოთხოვნილებით არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველან შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩ. 5' და მალაკანის მოედანზე.


# განცხადებანი

## სამკურნალო

### ექიმთა საზოგადოებისა

**მუდმივის საწოლებით.**

მიხეილის ქუჩა, № 59. მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფთ:

**ალაჯანოვი**—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.

**ვ. ვ. ვნუკოვი**—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

**ეგიაზაროვი ი. ნ.**—შინაგან, ნევრვებსა, სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.

**კიმონტი გ. პ.**—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

**მაგაკიანი გ. ნ.**—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სათ.

**ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა**—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ, რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

**წ ა მ ლ ო ბ ა „606“-ით.**

(100—1615—24)

# ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

**„606“—11—12 ს. შეზხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი;** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგასაროვი:** 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო. ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აველისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

**კბილის** საექიმო კაბინეტი **ი. ა. ფრანკისა** 9—2 ს. წამლობა, პლომბის გაკეთება და ხელოვნური კბილების ჩასხმა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. აველისიანცი:** 6—7 საათ.

**ი. ა. ფრანკი:** 5—7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ, 1074,16)

# — გ ე მ ო —

საზოგადოდ ზაფხულობით ტფილისში პურის კვასის დიდი მოთხოვნილებაა, თუ ის კარგი ღირსებისაა და ნადული წყლით არის დამზადებული მასთან დასალევათაც სასიამოვნოა. ამ მხრით სხვა კვასებთან შედარებით პირველი ადგილი უჭირავს, **კვას „გემოს“.** გემო შემოწმებული და მოწონებულია. ქალაქის საქიმიო ლაბორატორიისაგან. და ზაფხულობით, **გემოს** გასავალი დღეში რამოდენიმე ათას ბოთლამდე აღწევს. ამ ორი წლის (1910 წლიდან) გამოცდილებამ დამანახვა, რომ კვასის დამზადების გაუმჯობესება შეიძლება როგორც სურნელებითა და გემოთი ისე ბოთლებში ჩამოსხმულის დიდი ხნის გამძლეობითაც, რითაც შესაძლებელია ზამთარზაფხულ კვასითაც წარმოება რადგანაც გაზაფხული მოახლოებულია და საქმის დაწყებაც სიჩქარეს ითხოვს, და მასთანაც ეს საქმე თუ ვინმეს აინტერესებს **მ ხ ო ლ ო დ ერთ პირს ვთხოვ შემოვიდეს ჩემთან ამხანაგად,** იმ განძრახვით რომ საქმეს რიგიანათ წავიყვანთ და ნამდვილ წარმოების ხასიათს მივცემთ. პირობების გაგება და მოლაპარაკება შეიძლება შემდეგ ადგილებზე: 1) ჩვენთან, ვედინის ქუჩა № 28 და სერგო კახეთელიძესთან 2) სასადილო „ეკონომიაში“ „ტფილისის ფურცლის“ რედაქციის პირდაპირ.

**კვას „გემოს“** ერთად ერთი მოხელე და პატრონი **მათე გორგილაძე.**

(4—1096—3)


ტფილისი სტამბა „შრომა“ მუხრანის ქუჩა 12.